645
1974

# საბჭოთა ხელოვნება

ივნისი
№ 6 1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა



# ა. ს. პუშკინი

დაბადების 175 წლისთავი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხა
ტვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический
и художественно-литературный журнал
ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მომავალი კურორტის მაკეტი

# ურეკის მომავალი

19.403

საპროექტო ინსტიტუტში ,,საქქალაქმშენპროექტში" დამუშავდა კურორტ ურეკის გენერალური გეგმა და პირველი რიგის მშენებლობის დეტალური დაგეგმარების პროექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ურეკის პლაჟი საუკეთესოა საუკეთესოთა შორის. ქვიშა წვრილი ფრაქციისაა, მუქი მორუხო ფერისა და შეიცავს მაგნეტიტურ ნაერთებს. ზღვა მთელი ნაპირის გასწვრივ დაბალია.

როგორც კლიმატურმა, ასევე სამკურნალო ფაქტორებმა ურეკის ზონას დიდი პერსპექტივები შეუქმნეს საკურორტო მშენებლობისათვის.

კურორტ ურეკის სამკურნალო მონაცემებია:

1. ზემო სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური ქრონიკული დაავადებანი;

2. რაქიტის ნარჩენი მოვლენები;

3. სამოძრაო-საყრდენი ორგანოების ქრონიკული დაავადებანი (რევმატიზმისა და რევმატული ართრიტების გარდა);

4. ძვალსახსართა ტუბერკულოზი;

5. სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი;

6. ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობანი.

გენერალური გეგმით კურორტის სიმძლავრე ერთდროულად 20.000 დამსვენებლისათვის არის განსაზღვრული, აქედან 10.000 საწოლი დაეთმობა ბავშვთა კონტინგენტს სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის და 10.000 საწოლი — დიდებს.

კურორტი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში. კლიმატური პროცედურები სითბური რეჟიმის გამოყენებით გატარდება აპრილის თვიდან ოქტომბრის ჩათვლით. წლის დანარჩენ თვეებში მისი გახანგრძლივება შეიძლება დახურულ დარბაზებში.

პირველი რიგის საკურორტო მშენებლობისათვის პროექტით შერჩეულია ტერიტორია ურეკი-შეკვეთილის ზონაში მდინარე სეფას ორსავე ნაპირზე. მარცხენა ნაპირი 800 ჰექტარის ფარგლებში დაეთმობა საბავშვო კურორტს, ხოლო მარჯვენა ნაპირზე იქნება დასასვენებელი ზონა დიდებისათვის.

საბავშვო კურორტი, რომელიც ჩვენს პირობებში ითვლება გამსხვილებულ კომპლექსად 10.000 ბავშვზე, ერთდროულად იყოფა 5 ქვეკომპლექსად. თითოეული 2.000 დამსვენებლისათვის.

I ქვეკომპლექსი, რომელიც საბავშვო კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რორტის ჩრდილოეთ ნაწილში საპროექტო ტბის სამხრეთითაა განლაგებული, განკუთვნილია 15-18 წლის მოზრდილთათვის.

II და III ქვეკომპლექსები სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკებისათვისაა, სადაც დაისვენებენ 10-დან 14 წლის ასაკამდე ბავშვები.

IV ქვეკომპლექსი სრული სანატორიული კომპლექსია უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.

V ქვეკომპლექსი დედათა და ბავშვთა სანატორიუმებისათვისაა გათვალისწინებული.

ბავშვთა ყველა დაწესებულება სამსართულიანია, გარდა დედათა და ბავშვთა სანატორიუმებისა, რომლებიც დასაშვებია იყოს მრავალსართულიანი. ამ შემთხვევაში ისინი ცხრასართულიანია.

ყოველი საბავშვო დაწესებულება შედგება ორი კორპუსისაგან, თითოეული 200 საწოლზე, ისინი ურთიერთშორის ბლოკირებულია ერთსართულიანი სასადილოთი 400 ადგილზე ერთდროულად. კორპუსები ზღვის მიმართ მართობულად არის განლაგებული, რაც საშუალებას იძლევა საძინებელ ოთახებს მივცეთ ოპტიმალური ორიენტაცია (სამხრეთი), რომელიც ურეკის პირობებში ყველაზე სასურველია წლის ყველა დროს.

საბავშვო კურორტი დაგეგმილია სამსაფეხურიანი მომსახურებით. აქ იგულისხმება მომსახურების შემდეგი სახეები: კვება, სწავლა, კულტურულ-სანახაობრივი, სპორტული, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო-ადმინისტრაციული, მიმღები და სამეურნეო.

თითოეული საბავშვო კომპლექსი (2.000 საწოლზე) უზრუნველყოფილია ყველა იმ მომსახურების ობიექტებით, რაც აუცილებელია მისთვის:

1. თვით კორპუსებში გათვალისწინებულია საძინებელი ოთახები, საკლასო ოთახები, სამზარეულო-სასადილო ბლოკი;

2. ცალკე მდგომი კლუბი სპორტდარბაზით, ღია ესტრადა, გასართობი და სპორტული ბაქნები ღია ცის ქვეშ;

3. ღია ცის ქვეშ, კარგ ამინდში ძილისათვის გათვალისწინებულია ბაქნები, რომელთა გადახურვა საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მსუბუქი ასაწყობი კონსტრუქციებით;

4. მოზრდილთა კომპლექსისათვის, რომელიც ტერიტორიულად მოთავსებულია ხელოვნური ტბის მახლობლად, გათვალისწინებულია სპორტული ბაზის მშენებლობა წყალსაჭომარდო სპორტისათვის, აქვეა ღია საცურაო აუზი ტრიბუნებით;

5. სანატორიული ტიპის პიონერბანაკები საბავშვო კურორტის ცენტრალურ ნაწილშია დაგეგმილი. მის წინა პლანზე საალლუმო ბაქანია გათვალისწინებული. აქ შეიძლება ჩატარდეს პიონერთა შეკრებები და ყოველგვარი სადღესასწაულო ალლუმები. ეს ბაქანი ორიენტირებულია ტრიბუნებით ზღვისკენ.

ყველა კომპლექსისათვის დაგეგმილია დამოუკიდებელი გასასვლელი პლაჟზე. პლაჟი იქნება კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილი ყოველგვარი საპროცედურო-საპლაჟო მოწყობილობით.

პლაჟისპირა ზოლი პროექტის მიხედვით დაგეგმილია პარტერულ-დეკორატიული გამწვანებით, რაც ნაწილობრივ შერეული იქნება მაღალტანიან ხეებთან ჩრდილისათვის.

ურეკის პირობებში სამკურნალო-დასასვენებელი ობიექტების წინამდებარე ტერიტორიების გამწვანება პარტერულ-დეკორატიული პარკის სახით უზრუნველყოფს დამსვენებელზე ზღვის ბრიზების უშუალო მოქმედებას.

საკურორტო დაწესებულების უკანა პლანზე, ე. ი. აღმოსავლეთით, ძირითადად მოთავსებულია მომსახურების შემდეგი ობიექტები: საყოფაცხოვრებო კომბინატი, მიმღები პუნქტები იზოლატორით, საავარიო პერსონალის საცხოვრებელი სახლები მაღაზიებით და სასადილო ბლოკით მთელი პერსონალისათვის, დახურული საცურაო აუზი, სპორტ-დარბაზი, სტადიონი ტრიბუნით და სათადარიგო სავარჯიშო მოედანი ფეხბურთისათვის, სხვა სპორტულ ბაქნებთან ერთად. აქვეა საერთო საკურორტო ცენტრი: ადმინისტრაციული სახლი, პოლიკლინიკა (საკონსულტაციო), კინოთეატრის დარბაზი ყველა დამხმარე სათავსოებით, საცეკვაო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მთავარი ლაბორატორია, აფთიაქი, კაფე, საპარიკმახერო, ატს-ი, ფოტოატელიე, საგამოფენო დარბაზი და სხვა.

ბავშვთა დიდი კონტინგენტის ერთ გამსხვილებულ საკურორტო კომპლექსში კონცენტრირებამ განაპირობა ინფექციური საავადმყოფოს აუცილებლობა. იგი დაგეგმილია საბავშვო კურორტის ზონის გარეთ, ტყეპარკში და აბსოლუტურად იზოლირებული იქნება ხალხმრავალი საკურორტო ობიექტებისაგან.

ზღვისპირა ნახევარკილომეტრიანი ზოლი, რომელიც დათმობილი აქვს საკურორტო დაწესებულებებს, ტრანსპორტის მოძრაობისაგან იზოლირებულია (გარდა ეპიზოდური შემთხვევებისა).

ტრანსპორტის მოძრაობის სქემა საბავშვო კურორტის ტერიტორიაზე შემდეგ პრინციპზეა აგებული: მთავარი საკურორტო მაგისტრალიდან, რომელიც 50 მეტრის სიგანის უნდა იყოს, ოთხი სატრანსპორტო შესასვლელია დაგეგმილი. ერთი ძირითადი შესასვლელი კურორტის კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრშია გათვალისწინებული. ეს შესასვლელები კურორტის ტერიტორიაზე ორგანულად ურთიერთკავშირშია შიგა გამანაწილებელი გზებით. გამანაწილებელი გზიდან ყოველ კორპუსს ექნება დამოუკიდებელი მისასვლელი. საერთო საზოგადო ტრანსპორტის შესვლა საბავშვო კურორტის ტერიტორიაზე გამორიცხულია.

გივი თოთიბაძე,
პროექტის მთავარი არქიტექტორი და ავტორი.

# დედა და მეცნიერი

ბებია მარიამს თერთმეტი შვილი ჰყავდა, ბებია გუჩას — ექვსი, დედას კი — მხოლოდ ორი გოგონა.

ერთი შვილი მაინც გააჩინე კიდევ, იქნებ უფალმა ბიჭი ინებოს და ოჯახის ფუძე არ მოგვეშალოსო, — შეჰკადრებდა ხოლმე მარიამი რძალს. რძალი დედამთილის სიტყვებზე კეთილად გაიღიმებდა. ბებია ამ ღიმილს იმედს არქმევდა, გულისკარს უხსნიდა, შიგ დააბუდებდა და მერე დიდხანს ელოდა სანატრელ შვილიშვილს, მაგრამ ამაოდ.

გოგონები კი თანდათანობით იზრდებოდნენ. გაუწაფავი ხელით ასოების გამოყვანას ცდილობდნენ. დედაენას მარცვლავდნენ ან თამაშობდნენ — მკერდზემიხუტებულ თოჯინებთან განმარტოვდებოდნენ და ოცნებობდნენ დედა-შვილობაზე. პატარა გუჩას ხატვა უყვარდა და ხატავდა ნაოცნებარს. ხატავდა ყველაზე მეტად ბავშვებს. მერე თავის ნახატებს შვილებს ეძახდა, სახელებს არქმევდა და ორივე ხელის გაფშეკილ თითებზე ითვლიდა: ერთი, ორი, ხუთი, რვა, ათი, თექვსმეტი, თვრამეტი...

— აი, ამდენი შვილი უნდა მყავდეს, — იძახდა გოგონა და მაშინ არავინ იცოდა, ეს ბებიას საამებლად მოგონილი თამაში იყო, თუ დედობის ადრეული ძახილი.

მალე თოჯინებთან თამაში წიგნებმა და ცოდნის ინტერესმა შესცვალა. 23-ე საშუალო სკოლაში გუჩა კვარაცხელიას თავიდანვე უპირველეს მოსწავლედ მიიჩნევდნენ. 1958 წელს გუჩამ ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. გუჩამ სტუდენტობისას ახალი ფუძის საძირკველიც გახსნა და თავისი ბედი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს არჩეულ გულისტოლს თენგიზ არჩვაძეს დაუკავშირა. იღბლიანი გამოდგა მათი ქორწინება, სანიმუშო და მისაბაძი. მათ დიდი, ბედნიერი ოჯახი აქვთ, ისინი ხუთი ჯანსაღი შვილის მშობლები არიან. ყველაზე უფროსი გოგონა თამარი ცამეტი წლისაა, მასთან ერთად სკოლაში მისი მომდევნოები — დარეჯანი და სალომეც დადიან. გვანცა საბავშვო ბაღის ასაკისაა, ხოლო ნაბოლარა შალვას კი ჯერ ერთი წელიც არ შესრულებია.

თენგიზ არჩვაძე სამთო ინჟინერია და თავისი პროფესიის გამო ოჯახიდან მოშორები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაა. ის მშობლიურ კუთხეში — რაჭაში მუშაობს და ირის სამთო-გამამდიდრებელ ფაბრიკას ხელმძღვანელობს. შვილების აღზრდის მთელი სიმძიმე გუჩას აწევს მხრებზე. იოლი საქმე როდია ხუთი შვილის მოვლა, როცა სხვა დიდი საქმისათვისაც ხარ მოწოდებული! მაგრამ გუჩას რომ ჰკითხოთ გეტყვით:

— დიახაც, იოლია. ძნელი იყო წინათ, როცა შვილების აღსაზრდელად ილაჯგაწყვეტილი შრომობდა დედა, როცა ქალი წყალს ჭიდან ან წყაროდან ეზიდებოდა, როცა ქმარ-შვილის შესამოსად თავისი ხელით წეწავდა, ჩეჩავდა, ართავდა, ძახავდა და ქსოვდა, როცა ტყიდან შეშა მოჰქონდა, ჩეხდა, აპობდა, თონეს ახურებდა, წისქვილს აბრუნებდა, ფქვავდა და აცხობდა. და მაინც მაშინ დედები თორმეტ შვილს ზრდიდნენ. ახლა ყველაფერი მზამზარეული გვაქვს და სამი შვილის გაზრდაზეც ვწუწუნებთ...

— თქვენ კი მეხუთე შვილი ალბათ ბიჭის ხათრით გააჩინეთ, არა? — ვეკითხებით გუჩას.

— ყველას ასე ჰგონია, და ვერც ვერავის დავაჯერებთ, სანამ კიდევ არ გაგვიჩნდება.

— მაინც რამდენი შვილის გაჩენას აპირებთ?

— ეს საიდუმლოა, ვერ გაგიმხელთ, თორემ დედაჩემიც გაიგებს და გაგვინაწყენდება.

— როგორ, დედა გიშლით შვილების გაჩენას?

— ასე გამოდის. დედა მხოლოდ ორი შვილის მომხრე იყო, მესამეს აღარ გვანებებდა. ეშინია, მიფრთხილდება, მშობიარობას ბევრგვარი გართულება სდევსო. მაგრამ ძველად ხომ არამცთუ სამშობიარო სახლები, ერთი ექიმიც არსად იყო ბებია-ქალის ანაბარა მიტოვებული მშობიარესათვის. ახლა კი თუ ქალს შვილის გაჩენა უნდა, პირობებს ვერ დაემდურება. ქალი უპირველესად დედობისთვისაა მოწოდებული. ბევრ შვილს ბევრი სიხარული და ხალისი მოაქვს. ამიტომ, რამდენსაც მეტს ვიყოლიებ, ისა სჯობია, — ამბობს გუჩა და გვჯერა, რადგან ეს ლიტონი სიტყვები როდია, ეს მისი საქმით, მისი პრაქტიკით დამოწმებული ჭეშმარიტებაა.



გუჩა მეუღლესა და შვილებთან ერთად.

ახლა გუჩა კვარაცხელია ოცდაცამეტი წლისაა და უკვე იმ ღვაწლითაა მოსილი. რასაც ზოგიერთი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზეც ვერ შესძლებს.

ხუთი შვილის დედა ოცდახუთი გამოქვეყნებული შრომის ავტორია, რითაც მეცნიერებაშიც თავის კვალს ტოვებს. გუჩამ ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თინათინ შარაძენიძის ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მათემატიკური და ზოგადი ენათმეცნიერების განხრით. თინათინ შარაძენიძე გუჩას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ხიბლავდა თავისი ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობით, დიდი პედაგოგიური ტაქტითა და უტყუარი მეცნიერული ალღოთი.

— ბევრი, ძალიან ბევრი რამ მასწავლა თინათინმა. — კმაყოფილებით აღნიშნავს გუჩა.

1968 წელს გუჩამ თინათინის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია თემაზე — „მეტყველების სტილის სტილისტიკური ანალიზი“. გუჩა მარტო მეცნიერული შრომით არ იფარგლება, მას დიდ სიამოვნებასანიჭებს პედაგოგიური მოღვაწეობა, მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმე. 1970 წლიდან იგი პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს ზოგად ენათმეცნიერებასა და ქართული ენის სტილისტიკას უკითხავს. ამასთანავე, დიდმა ენთუზიაზმმა მიიყვანა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას სახელობის კაბინეტში. ეს კაბინეტი რამდენიმე წლის წინათ შექმნა აწ განსვენებულმა მეცნიერმა გრიგოლ კიკნაძემ, მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა შრომისმოყვარე ახალგაზრდობა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მეცნიერულ დამუშავებას მოჰკიდა ხელი. ვაჟა-ფშაველა გუჩას საყვარელი მწერალია, ამიტომაც თავის შემდგომ სამეცნიერო შრომას მის შემოქმედებას უძღვნის. ახალგაზრდა მეცნიერი ვაჟას პოეზიის ფერსა და ბგერას ჩაღრმავებია. გუჩა მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა. ამჟამად ის თანამედროვე პროგრესული ფრანგი მწერლის ჟორჟ პერიკის „ნივთებს“ თარგმნის ქართველი მკითხველისათვის.

მარიკა გვიმრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეკრების პრეზიდიუმი

ფოტო ა. ჩარკვიანისა

292 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაისათვის

# ქუთაისის ეტაპი

რეპორტაჟი მეჩაიეთა რესპუბლიკური შეკრებიდან

— ყურადღება!

ჩვენ ვიმყოფებით ქუთაისის დრამატული თეატრის შენობაში. დღეს 8 აპრილია. ეს დღე მთელი ჩვენი რესპუბლიკისათვის სამახსოვრო დღეა: აქ, ქუთაისში მიმდინარეობს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება. შეკრების დაწყებამდე ბევრად ადრე მოვიდნენ აქ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, მკერდვარსკვლავიანები.

— ერთი ვარსკვლავი მაინც მომცა! — ნატრობს პოეტი მორის ფოცხიშვილი.

— ვარსკვლავს კრეფა უნდა! — ღიმილით აგებებს პასუხს პოეტი კარლო კალაძე.

დიახ! დღეს სავარდო ქუთაისი ჩაის ოსტატთა მასპინძელია.

ქუთაისის ეტაპი — ასე უწოდეს ამ შეკრებას მისმა მონაწილეებმა.



თამარ ჟუჟუნია

ყურადღება, მეგობრებო! შეკრების დაწყებამდე ვცდილობთ ავიღოთ რამდენიმე ინტერვიუ. ეს მეტად ძნელია. თეატრი შერამდეა სავსე. დერეფნები, კულუარები ავსებულია. ყველგან გაცხოველებაა. ჩვენთვის თითქმის არავის სცალია. შეიძლება თავიც მოვაბეზრეთ, — პრესა, ტელევიზია, რადიო მათთვის ახალი არაა.

— მე გიშველით! — გვთავაზობს საქართველოს ტელევიზიის დიქტორი ირმა გურიელი.

— მე უკვე მოვასწარი რამდენიმესთან საუბარი, — გამარჯვებული ხმით გვამცნობს „ახალგაზრდა კომუნისტის“ მუშაკი ნარგიზა მგელაძე.

— მე...

— მე...

ჩვენ ვეძებთ სოციალისტური შრომის გმირთა ახალ ოთხეულს: გუგული ქადეიშვილს, ალექსანდრა ვოუბას, ნადია ჯინჭარაძეს, ბაბუცა ლაგვილავას.

— ვოუბა!

— ვოუბა!

ვერ შევძელით მისი მონახვა. სამაგიეროდ გუგული ქადეიშვილი დავვანახეს. მუქი ფერის კაბაზე ოქროს ვარსკვლავი უკიაფებს. რაღაც განსაკუთრებულადაა შემართული, სჩანს ჯერ კიდევ არ განელებია მაღალი წოდების მინიჭებით გამოწვეული სიხარული.

მეგობრებო! სიტყვას ვაძლევთ სოციალისტური შრომის გმირს გუგული ქადეიშვილს:

— ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ ბევრი ვიფიქრე, ავწონ-დავწონე ჩემი შესაძლებლობანი და გადავწყვიტე წელს 18 ტონა ჩაის ფოთოლი მოვკრიფო. მალე დაიწყება კრეფის სეზონი... მოსავალს ცუდი პირი არ უჩანს.

— დიახ, მოსავალს კარგი პირი უჩანს, — ლაპარაკში ებმება ორგზის ლენინის ორდენოსანი გუგული სირაძე, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, — ხუთწლედის ამ განმსაზღვრელ წელს ყოველ ღონეს ვხმარობთ, ხელმძღვანელობაც ყველა პირობას გვიქმნის მეჩაიეებს, რომ მაქსიმალური შესაძლებლობა გამოვავლინოთ. დილის 6 საათიდან პლანტაციაში ვარ, წელი როდი გვწყდება სამუშაოზე გასვლის წინ.

— ოჯახი?

— მყავს ოჯახის მიმხედავი. ორი შვილის დედა ვარ, ორივე ფრიადოსანია, ვიცი, მათ არაფერი გაუჭირდებათ. წელს ივნისში მორიგი ხუთწლედის ანგარიშში დავიწყებ მუშაობას. ანაზღაურებაც კარგი გვაქვს: შარშან, მარტო ჩაისგან 4 ათასი მანეთი მერგო.

ეს ორი გუგული შემდეგ პარტერშიც ერთად დავინახეთ, ტატიანა ჩხაიძეს ამოუსხდნენ მარტყებივით გვერდში.

— გავესაუბროთ ჩვენს საამაყო ტატიანას?

— ნუ შევაწუხებთ. იგი ახლა გამზრდელის სიდინჯით ესაუბრება თავის თანასოფლელებს. ერთს ვიტყვით მხოლოდ: თვალები კვლავ ახალგაზრდული შუქით აქვს სავსე. ასე, შორიდან ვუსურვოთ ახალი გამარჯვებანი!

ზარის ხმა.

შეკრება იწყება. შესავალ სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ზ. გელდიაშვილს.

პრეზიდიუმი სავსეა ჩვენი ცნობილი მეჩაიეებით, ჩაის წარმოების მოწინავე მუშაკებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებით, და პირველ რიგში ზის ქალი, ხანდაზმული, ზის უბრალოდ, სადა თალხი კაბით.

— თამარ ჟუჟუნია! — ერთხმად ვამბობთ და გული სითბოთი გვევსება.

თამარ ჟუჟუნია. დიდი ქართული ჩაის დიდი ვეტერანი! ხვალ იგი თავად მისცემს ინტერვიუს გაზეთ „ქუთაისს“: „მიმდინარე წელს ჩაის საჰექტარო მოსავლიანობას ჩვენი ბრიგადა აიყვანს 11.500 კილოგრამამდე. 140 ტონის მაგიერ ვაწარმოებთ 180 ტონა ხარისხოვან ნედლეულს და ამით უზრუნველვყოფთ ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებას“. ამხანაგებო, როდესაც ამას ამბობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი თამარ ჟუჟუნია, ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა შეუვალია. ასევე შეუვალია სიტყვა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მეჩაიის, სოციალისტური შრომის გმირის — ლიდია კოსენკოსი, რომელმაც თავის გარჯაზე მოუთხრო დარბაზს.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ადამიანები, რომელთა საქმიანი საუბარი, გულწრფელი, პრინციპული კრიტიკა, თვითკრიტიკა უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამამულო ჩაის წარმოებას. შეკრებამ იცის ეს. შეკრების მონაწილეებს თავად გადაუტანიათ ამინდიც და უამინდობაც, ჩამორჩენის სიმწარეც და წარმატების სიხარულიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდიუმსა და პარტერს შორის ზღვარი წაშლილია. ხანდახან ორატორს ეხმიანება მთელი დარბაზი, ეთანხმება ან არ ეთანხმება. და ყველაფერი ეს ხდება დიდი სამამულო ჩაის სიკეთისათვის. ამ სიკეთეს ზოგჯერ, გარდა უამინდობისა, უყურადღებობაც უშლის ხელს. ზოგი მეურნეობა დროულად არ მარაგდება სპეციალური ტანსაცმლით, არა აქვთ საკმარისი სახწორები, პლანტაციებში ცხელი კერძის მიტანის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, არ არის საკმაო ფარდულები, ტრანსპორტი, ზოგან ბაგა-ბაღის საკითხიც მოუწესრიგებელია. და შეკრებას ურჩევნია ამ მაღალი ტრიბუნიდან განაცხადოს ამის შესახებ, აქედანვე მოუღოს ბოლო სიძნელეებს.

— ჩვენთან ეს საკითხი მოგვარებულია, — გვეუბნება ქეთევან გოგიტიძე და პრეზიდიუმისკენ მიემართება.

კულუარებში მივყვებით ქეთევან გოგიტიძეს — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის სახელოვან მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს. იგი თითქმის ყველაზე ახალგაზრდაა ამ შეკრებაზე.

ქეთევან გოგიტიძე: — ჩემი პირობა? პირობას ვდებ 4 ტონა და 800 კგ ავილო 0,8 ჰექტარზე. შარშან ამავე ფართობზე 2 ტონა და 700 კგ მოვიწიე. ჩვენი კოლმეურნეობა თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ამ განმსაზღვრელ წელს ხუთწლედის მიერ დასახული სიმაღლეების აღებაში.

— ქეთევან, რას უსურვებდით თქვენს თავს? რას ინატრებდით კიდევ?

— ჯანმრთელობას და კიდევ ჯანმრთელობას, რომ უფრო მეტი ჩაი მოვკრიფო.

— პირად საქმეში მგონი ჩამორჩით!

ქეთევანი იცინის: — ჯერ არ მცალია გასათხოვრად...

ამხანაგებო! მოდით წლევანდელ წელს დაოჯახებაც ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მეჩაიეს, მშვენიერ ქალიშვილს.

ქეთევანმა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ

ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა თურმანიძე გაგვაცნო. ახალშენის კოლმეურნეობაში შვიდასზე მეტი მეჩაიე ქალია. მათ გადაწყვეტილი აქვთ წელს 1.503 ტონა ჩაი მოიწიონ.

— ე. ი. 220 ტონით მეტი გეგმის ზევით, — ერთგვარი სიამაყით ამბობს შოთა. — საზამთრო და საგაზაფხულო სამუშაოები ჩაიში უკვე დავამთავრეთ, გადავბარეთ, სასუქები შევიტანეთ, ბუჩქები გავსხალით.

— ქალების შრომას ხელი როგორ ეწყობა თქვენთან?

— 3 ბაგა-ბაღი მოგვემსახურება. რაც შეეხება ცხელ კერძებს, საველე სასადილოები არა გვაქვს, რადგან პლანტაციები სოფელთან ახლო არის. ჯერჯერობით შრომის ერთი გმირი გვყავს — მარია პარასკევოპულო. სხვათა შორის, ჩვენი კოლმეურნეობა ინტერნაციონალურია, გვყავს ბერძნები, სომხები, რუსები, აზერბაიჯანლები, ბელორუსები, უკრაინელები.

ცხადდება შესვენება.

ფოიეში კვლავ ვარსკვლავები ელვარებენ. პოეტებს ერთად მოუყრიათ თავი, იგონებენ გუშინდელ დღეს, ტურისტთა კლუბ „ოქროს ჩარდახში“ მწერალთა და მოწინავე მეჩაიეთა შეხვედრას. იქ ლილი ნუცუბიძე, რუთა ბერიძე, მორის ფოცხიშვილი, ლადო სულაბერიძე, დავით კვიცარიძე, ზურაბ კუხიანიძე, ზაალ ებანოიძე, დავით ხუროძე ართმევდნენ ერთმანეთს სიტყვას, კითხულობდნენ ახალ ლექსებს. მათთან საუბრობდნენ ჩაის კრეფის ოსტატები, უზიარებდნენ გულისნადებს. ზუგდიდის რაიონის სოფ. ჩხორიის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვაჟა ფიფიამ ქართველ მწერლებს „უსაყვედურა“: ჩვენზე, შრომის ადამიანებზე უფრო მეტი უნდა სწეროთ, უნდა შექმნათ დიდი ტილოებიო.


პუზული სირაძე და საშა ქურიძე


ცაცა ქარდავა

და ამ საყვედურში იყო სიმართლის ხმა.

კვლავ სხდომა. კვლავ მსჯელობა კარგზეც, ავზეც.

— არ გაგვეგონოს ქართული ჩაის აუგი! — ამბობს ერთ-ერთი ორატორი და ეს მოწოდება ელვასავით უვლის დარბაზს: „არ გაგვეგონოს ქართული ჩაის აუგი!“.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ედუარდ შევარდნაძე.

შეკრება სულგანაბული ისმენს მის სიტყვას. შეკრებას სწამს, რომ გაიმარჯვებს დიდი სახალხო საქმე. ამ რწმენას მათ შთააგონებს ის მრავალმხრივი ღონისძიებანი, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკაში ხორციელდება.

— არ გაგვეგონოს ჩვენი ჩაის აუგი! — იმეორებენ დასასრულ შეკრების მონაწილენი, მათ შორის გალის რაიონის მოწინავე მკრეფავები ზოია ბულესკირია და თამარ ყუფუნიას პრიზის მფლობელი თინათინ გოგოხია.

— ამხანაგო თინათინ, ერთი წუთით.

იგი ჩერდება.

— თქვენ, თქვენ რას პირდებით ქვეყანას?

— ვალდებულებასაც შევასრულებ და ახალგაზრდებსაც დავეხმარები ჩაის კრეფის ოსტატებაში.

— გმადლობთ თინათინ!

მეგობრებო! კიდევ გვინდა შევაჩეროთ ერთი ვარსკვლავიანი, მაგრამ მას ჩვენთვის არ სცალია. ათასი საფიქრალი, ათასი გეგმა უტრიალებს ალბათ თავში და აქედან პირდაპირ მიეჩქარება სადგურისაკენ. „ჩაის უნდა მივხედო!“ — გვეუბნება იგი, ისე გვეუბნება, როგორც შვილისა და ოჯახის მიხედვაზე იტყოდა. მაშ, გზა დავულოცოთ მას პლანტაციებისაკენ და ოჯახისაკენ. პლანტაციებისაკენ გზა დავულოცოთ შეკრების ყველა მონაწილეს, ყველა მეჩაიეს, რომლებსაც წელს ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს, დიდზე-დიდი ვალდებულება აქვთ შესასრულებელი — მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 292 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, მარჯვენა დავულოცოთ ჩაის მრეწველობის მუშაკებს, წელს 78.500 ტონა ჩაის პროდუქცია რომ უნდა მისცეს სამშობლოს.

მ. კალანდაძე,
ნ. კილასონია.

მინაწერი: ეს რეპორტაჟი აპრილში დაიწერა. ახლა კი ივნისია და ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად დიდი შრომითი შემართებით იბრძვიან საქართველოს მეჩაიეები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული გოცვაძე

# საჩუქარი

მოთხრობა

მხატვარი ცინარა ტერელაძე

ჩვენი დიდი ოდა-სახლის აღმოსავლეთის კუთხეში ერთი პატარა ოთახი იყო; ამ ოთახში ძველთაძველი მოჩუქურთმებული კარადა, შავი ზანდუკი და ერთი მონიკელებული განიერი საწოლი იდგა. საწოლთან გობელენი იყო გაკრული, რომელზედაც ულვაშებაწკეპილი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, შავთვალწარბა მამაკაცის სურათი ეკიდა. ეს იყო ჩემი დიდი წინაპარი, ბებიაჩემის მამა გიორგი. მისი ხსოვნა და სიყვარული ჩვენს ოჯახში მისმა მეუღლემ, ჩემმა დიდმა ბებომ შემოინახა და ჩვენამდე მოიტანა.

აღარ ახსოვს დიდ ბებოს, როდის იყო ასი წლის. საკვირველი იყო სწორედ ეს გულმავიწყობა, რადგან მისი გონება ასაკის შეუფერებლად ნათელი და ცინცხალი იყო, სმენაც კარგი ჰქონდა, მხოლოდ ესაა თვალებმა უმტყუნეს ამ ბოლო დროს.

დედა ამბობდა: — ბებიაჩემი ისე მოიყარა ას წლამდე, ისე დაპატარავდა და გაილია, რომ ავადმყოფობა არ იცის რა არისო. მართლაც არასდროს მისი კვნესა და წუწუნი არ გამიგია.

ყველაზე ადრე დგებოდა, ქათმებს დააპურებდა, ეზო-კარს დაგვიდა და სამზადში დატრიალდებოდა, მერე დაგვერეოდა — ადექით, გაკეთდა ქვეყანა, როდის უნდა მოეწიოთ რამესო.

ჩვენს ოჯახში დიდი ბებოს გარეშე არაფერი გადაწყდებოდა, მას აუცილებლად კითხავდნენ, რადგან თუ გვერდს აუვლიდი და არ შეეკითხებოდი, დიდ შეურაცხყოფად მიიღებდა და მთელი წელი არ გაათავებდა ამაზე ლაპარაკს. თუმცა მის სიტყვას დიდად არ მისდევდნენ, მაგრამ შემჩნეული მქონდა, რასაც იტყოდა წყალი არ გაუვიდოდა, სწორედ ისე მოხდებოდა, როგორც მან სთქვა.

დიდი ბებოს ოთახში შესვლის უფლება არავის ჰქონდა. საღამოს ყველას ძილინებისას უსურვებდა და ნელა წაფლატუნდებოდა თავისი სამფლობელოსაკენ. ვაი მისი ბრალი, ვის ნაკვალევსაც თავის ოთახში აღმოაჩენდა: ერთ ვაიუშველებელს ასტეხდა. ასეთი იყო დიდი ბებო. ყველა ვუყვარდით, როგორც თვითონ გვეუბნებოდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად ყურადღებიანი და ალერსიანი ჩემს მიმართ იყო თავიდან.

დიდ ბებოს ერთი ნამზითი ბუმბულის ლეიბი ჰქონდა. მე თუ მკითხავთ, უსულო საგანს კი არა, ცოცხალ არსებასაც ხშირად როდი ერგება წილად ისეთი ყურადღება როგორიც ამ ლეიბს ჰქონდა. ყოველ მესამე დღეს მზის გულზე გაჰქონდა, ათჯერ მაინც გადააბრუნ-გადმოაბრუნებდა, გაბერტყავდი, ჯოხით გაბეგვავდა და როცა ერთი-ორად ამოფუვდებოდა, მხოლოდ მაშინ მოეშვებოდა. ყოველ გაზაფხულზე ლეიბს პირს გადააძრობდა და ახალს შემოაკერებდა.

დიდი ბებოსთვის საწოლი წმიდათაწმინდა ადგილი იყო, რომელზედაც, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ნაჯაფარ და გატანჯულ ძვლებს ასვენებდა.

თუმცა ჩვენი ოჯახის ცხოვრება დიდი ბებოს გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნდა, მაგრამ იგი მაინც ძველ, გაცვეთილ ნივთს მაგონებდა, რომელსაც მალე უნდა შევლეოდით.

ალბათ ამას დიდი ბებოც გრძნობდა და ამიტომ ეხვეწებოდა მაღალ ღმერთს: ღმერთო, ლოგინად ნუ ჩამაგდებ, ისე მომკალიო.

მეცოდებოდა დიდი ბებო, რადგან ვგრძნობდი, რომ თითქმის უმეგობროდ ცხოვრობდა ჩვენს ოჯახში. თვითონაც კუშტი და სიტყვაძვირი იყო, მაგრამ თუ გეტყოდა რაიმეს, ვაი ამისთანა თქმას. შვილები წავიდ-წამოვიდნენ, ქმარი მოუკვდა. დედას კი მის სალოლიაოდ სად ეცალა, აქეთ სახლი, იქეთ სამსახური, ქმარი, შვილები, მიმსვლელი, მომსვლელი... ჩვენთვის, ბავშვებისთვის კი, დიდი ბებო წასული საუკუნე იყო, რომლის შესახებაც წიგნებში წერდნენ, რადიოთი და ტელევიზიით გველაპარაკებოდნენ და როგორც ჩვენ გვეგონა, ყველაფერი ვიცოდით.

იყო ასე მარტოსულივით და მხოლოდ წარსულით ცოცხლობდა. წარსული კი მის პატარა, ერთფანჯრიან ოთახში ჰქონდა თავისთვის შემონახული.

ასე მეგონა, დიდ ბებოს ყოველდღიური უმნიშვნელო საზრუნავის გარდა, ქვეყანაზე არაფერი აინტერესებდა, ამიტომ ხშირად მიფიქრია — ნეტა რად უნდა ასეთი სიცოცხლე-მეთქი. თურმე რა ძლიერ ვცდებოდი...

მაშინ სარაიონო ოლიმპიადაზე ლექსი უნდა წამეკითხა. ქართულის მასწავლებელმა რამდენიმე ლექსის დაზეპირება დამავალა, ვნახოთ, რომელი უკეთესად გამოგივაო. ერთ დღეს ჩვენი დიდი სასტუმრო ოთახის შუაში მაგიდასთან ვიდექი და ხმამაღლა გავყვიროდი ლექსებს. ოთახში დიდი ბებო შემოფლატუნდა. გავჩუმდი, არ მესიამოვნა ხელი რომ შემიშალეს.

— გააგრძელე, ბებია, შენს გაზრდას, — მთხოვა დიდმა ბებომ.

— ლექსებია! — ვთქვი მე ისეთი სახით, თითქოს შენ რაში გაინტერესებს, ეს ხომ არც წიწილების საჭმელია და არც დასაკემსი წინდა-თქო.

— ვიცი, ბებია, ლექსები რომაა, იმიტომ გთხოვე გააგრძელე-მეთქი.

დავიწყე კითხვა. ერთი რომ ჩავათავე, ისევ გავჩუმდი.

— ის წაიკითხე, ბებია, შვილი რომ გაუშვა ჯარში და მერე რომ ელოდა უბედური დედა, — მთხოვა და სკამზე ჩამოჯდა.

— მისმენდი?

დიდმა ბებომ თავი დამიქნია.

წავიკითხე სანდრო შანშიაშვილის „დედისერთა ლენინთან“.

— კაი დაწერილია, ნამდვილი ამბავია გადმოცემული, ღმერთის ენა ცოდნია მაგის დამწერს, — დაასკვნა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ღმერთის ენა კი არა, ის არ გინდა? ეს ლექსი ჩემი დაწერილია, — ვთქვი უფრო იმიტომ, რომ გაბრაზებული ვიყავი და მინდოდა მისთვის იმედი გამეცრუებია.

— კაი ერთი, თუ ღმერთი გწამს.

— ასეა და რა ვქნა.

— როდის დაწერე, ბებია?

— როდის და დღეს. — ვთქვი და გავჩუმდი.

— კი ვფიქრობდი მე მაგას. ნამდვილად ვფიქრობდი. — დაარღვია სიჩუმე დიდმა ბებომ — ბუნება დაუსაჩუქრებლად არავის დატოვებს. სიმართლე რომ გითხრა, მეცოდებოდი — აგი შავი, გახუხული გოგო დაიკარგება ქვეყანაზე-მეთქი, მარა ხომ ხედავ შენ... ღმერთს შენთვის, ბებია, იმხელა ნიჭი მოუცია, რომ... რაა იმასთან გადაფითქინებული პირისკანი.

— არც ისე უშნო ვარ მე, — ვიწყინე დიდი ბებოს ნათქვამი.

— არა ბებია, თლა უშნო კი არა ხარ, რომ ჩეიცვამ, ქე ემსგავსები რაღაცას, მარა... ახლა ნატოიე (ჩემი და) რომაა გაფცქვნილი კვერცხივით, ისეთი რომ ვერ ხარ, შენც კი იცი. მარა, სამაგიეროდ რამხელა ნიჭი მოუცია შენთვის ღმერთს. კიდევ გაქვს რამე დაწერილი, თუ ესაა მარტო? — შემეკითხა ისევ.

— დაწერილის მეტი რა მაქვს. — იხტიბარი არ გავიტეხე.

— კიდევ წამიკითხე რამე, თუ ხათრი გაქვს, — მთხოვა.

უფრო პატივმოყვარეობის გამო, ვიდრე დიდი ბებოს პატივისცემით, რამდენიმე მშვენიერი ლექსი ჩემად გავასაღე და ჩავაჭიკჭიკე.

— რასაა, გოგო, რომ ღრიალებ და ადამიანს ძილს უფრთხობ, — გამომივარდა მეზობელი ოთახიდან ჩემი უმცროსი, მეექვსეკლასელი ძმა.

— გადი, ბიჭო, გარეთ, ნუ უშლი ხელს, ხომ ხედავ საქმეს ვაკეთებთ. — გამოენთო დიდი ბებო.

— საქმეს თვარა, თქვენც არ მყავდეთ ამერიგო ვესპუჩები. — ჩაიბურტყუნა სანდრიკომ და წასვლა იკადრა.

— ბებია, შენ აქ ხელს შეგიშლიან, როცა რამეს დაწერა გინდოდეს, ეგერაა ჩემი ოთახი, შედი და იქ იყავი შენთვის. — შემომთავაზა უცებ დიდმა ბებომ და მივხვდი, თუ როგორ ავმაღლებულვარ და გავზრდილვარ მის თვალში.

— თუ დაიღლები, ჩემს ლოგინზეც წამოწექი და დაისვენე. — დაუმატა.

ამ დღიდან დიდი ბებო მთლად შეიცვალა ჩემს მიმართ. ცდილობდა მუდამ ჩემთან ყოფილიყო. ბოლოს იმასაც მიაღწია, რომ მის ოთახში დამიდგეს საწოლი და იქ ვიძინებდი. მე ლექსებს ვკითხულობდი, ის კი მისმენდა და მაქებდა. მაშინ იმ ასაკში ვიყავი, რომ შექებას, შენი პიროვნების აღიარებას და შენი ნიჭის დაფასებას (თუნდაც ეს არ დაგემსახურებინოს) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თანდათან მოვიდა რწმენა იმისა, რომ მეც, უბრალო სოფლელ გოგონას, შემეძლო სხვისი გაკვირვება, აღფრთოვანება, სხვის თვალზე სიხარულის ცრემლის გამოწვევა და ეს ამბავი ფრთებს მასხამდა, დიდი მიზნებისკენ კარს მიხსნიდა. ვცადე კიდეც ლექსის შეთხზვა. რამდენიმე დავწერე, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად დიდმა ბებომ სასტიკად დამიწუნა ისინი და იძულებული გამხადა სხვისი კარგი პოეზია ჩემად გამესაღებინა. ამას რომ ჩავდიოდი, იმედი მქონდა, — მოვა დრო მეც დავწერ კარგ ლექსს და მაშინ გავუმხელ ჩემს საიდუმლოს დიდ ბებოს-მეთქი. ახლა, როცა ასე ახლო მეგობრები გავხდით, მაწუხებდა, მოტყუებული რომ მყავდა, მაგრამ მომავლის იმედით ამ დარდსაც ვუძლებდი.

ერთხელ ვკითხე: შენ, ასე რომ გიყვარს ლექსები, რატომ არც ერთი ლექსი არ იცი-მეთქი.

გაეცინა. რაღა დროს ჩემი ლექსებიაო, მითხრა. ისე, როცა ოცდასამი წლის ვიყავი, ზეპირად ვიცოდი ერთი უზარმაზარი გალექსილი წიგნიო.

დრო მიდიოდა. სკოლაში დალოცვილი „ვეფხისტყაოსნის" შესწავლა დავიწყეთ და მაშინ მომივიდა თავში ყველაზე თავხედური აზრი, რაც შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს, გადავწყვიტე „ვეფხისტყაოსანი" დამეზეპირებინა და დიდი ბებოსთვის წამეკითხა როგორც ჩემი ნაწარმოები. საქმის სისრულეში მოყვანას შევუდექი.

საკმაოდ რთული გამოდგა მთელი თავების ზეპირად დასწავლა. ზოგი ადგილის გამოტოვება გადავწყვიტე, მაგრამ ნურას უკაცრავად, დიდმა ბებომ შორს დაიჭირა — მაქანა რაღაცას აკლებ და, თუ ღმერთი გწამს, დაფიქრდი და შეავსეო.

ისე ვიყავი გაბრუებული დიდი ბებოს მიერ შესხმული დიდებით, რომ მის სიტყვებს ყურადღებას როდი ვაქცევდი, მხოლოდ იმის ჯავრი მქონდა, არავის გაეგო ეს ამბავი, თავი არ მომჭროდა. ვთხოვე — ნუ გავამხელთ ამ ამბავს, სანამ ამ წიგნის წერას არ დავამთავრებ-მეთქი.

— არაო, — შემპირდა და არც გავუმხელივარ.

დიდი დრო მეკარგებოდა გადაწერაში. მაგრამ, მეტი გზა არ მქონდა, ყოველ საღამოს დიდი ბებო რვეულს გამომართმევდა, გადაფურცლავდა — აბა, დღეს რამდენი დაწერეო.

— ნეტა რას უცქერი, შენ ხომ მაინც ვერ არჩევ-მეთქი. — ვუთხარი ერთხელ.

— მსიამოვნებს, ბებია, შენს შრომას რომ ვუყურებ, [illegible]ბი არ დაკარგო, მთელი ცხოვრება შეინახე და მერე შენს შვილს აჩუქე; თან მოუყევი, როგორ დაგაწერინა დიდმა ბებომ ეს დიდი წიგნი, — მითხრა და გამიცინა.

ყოველ საღამოს, პატარა ერთფანჯრიან ოთახში, ჩვენი ოდა-სახლის აღმოსავლეთით, ვიწექით ერთმანეთის გვერდით მე და დიდი ბებო... ფანჯრიდან მთვარე და ვარსკვლავები გვიცქერდნენ და მე ვყვებოდი დიდი ადამიანურ გრძნობებზე, დიდ სიბრძნეზე და სილამაზეზე... ჩვენთან იყვნენ რუსთაველის უკვდავი გმირები... დაუვიწყარი იყო ეს საღამოები. ისე გამიტაცა იმ მადლიანი წიგნის შესწავლამ, რომ ყველა სხვა საქმე მივატოვე. გამიმრავლდა სამიანები სხვა საგნებში, მაგრამ ჩემი დატუქსვის უფლებას, დიდი ბებო არავის აძლევდა.

— მაგისთანა ნიჭიერი ერთი არაა ჩვენს გვარშიო! — აცხადებდა ავტორიტეტულად.

თვითონ კი ამ საღამოების წყალობით გამოიცვალა, სიარულიც მსუბუქი გაუხდა, თვალებში ჩამქრალი ნაპერწკლებიც აუკიაფდა.

მთელი ოჯახი გაკვირვებული შესცქეროდა ჩვენს კავშირს, თუმცა დიდი ბებოს შიშით ვერავინ კრინტს ვერ სძრავდა.

მხოლოდ ერთხელ მამაჩემმა შეჰკადრა; რაც თქვენს ოთახში იძინებს, სწავლას სულ თავი გაანებაო. დიდი ბებო კინაღამ გადაირია — რას მაბრალებენ ხომ ხედავო, — მომიბრუნდა, — ვერ აიტანეს შენ რომ გიყვარვარ და უნდათ ერთმანეთს დაგვაცილონო. მოვკვდები ბატონო აწი და მეისვენებთ ყველა — დაასკვნა ბოლოს.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ვინ რას იტყოდა.

— შენ არ იჯავრო, ბებია, მაგი ამბავი. — დამამშვიდა იმავე საღამოს დიდმა ბებომ, — რასაც ახლა აკეთებ საშვილიშვილო საქმეა და სხვებს ნუ უყურებო.

თავიდანვე გადავწყვიტე, რომ პოემის ბოლო თავი არ წამეკითხა დიდი ბებოსათვის, ის ადგილებიც ოსტატურად გამოვტოვე, სადაც რუსთაველი თავის თავზე ლაპარაკობს.

ჰოდა, დავასრულე პოემის კითხვა.

— მეტი არაა, ბებია? — მკითხა ცოტა დუმილის შემდეგ დიდმა ბებომ იჭვნეულად.

— არა. დავამთავრე, — მივუგე მე.

— ნამდვილად?

— ნამდვილად. ჩემი დაწერილია და მე არ ვიცი? — ვიწყინე. ამით დიდ ბებოს შევახსენე, რომ დრო იყო თავისი აზრი გამოეთქვა პოემის შესახებ.

— უკვდავი რამეა! — განაცხადა უცებ, თითქოს ნაფიქრალს მიმიხვდაო.

— ?!

— არასოდეს არ მოკვდება! ახლა, მაგის დამწერიც ადამიანია და მამაშენიც, — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ.

— მამაჩემთან რა გინდა? — მართლა მეწყინა.

— რა და, რომ არ ესმის ამ ქვეყნის არაფერი, ვითომ ორს მივუმატოთ ორის სწავლა შენთვის უფრო დიდი რამეა, ვიდრე ის, რაც მე და შენ ერთად გავაკეთეთ?

მართალი გითხრათ, ახლა ის მეწყინა, რომ თანაავტორობას იჩემებდა, მაგრამ არაფერი ვუთხარი.

— კი მარა, ბებია, სათაური არ უნდა ამხელა წიგნს? — მკითხა უცებ. — პატარა ლექსს რომ დაწერ, იმას უკეთებ სათაურს და ახლა რა მოგივიდა. იმას რა კარგი სათაური ქონდა, ღამეზე რომ იყო? ...ჰო, „მე და ღამე", ან კიდევ იმას — ქე რომ გაზრდილი კარგი არ გამოადგა ჰო... „გამზრდელი". კი გეხერხება შენ სათაურები, გახსოვს „სტუმარ-მასპინძელი" რა კარგად მოიგონე? ახლა რა მოგივიდა?

„ვეფხისტყაოსნის" სათაური განზრახ არ ვუთხარი. ბრიყვი ვიყავი და ვიფიქრე, თვითონ პოემა არ ეცოდინება, მაგრამ სათაურისთვის ყური მოკრული ექნება სადმე-მეთქი.

— მე თუ მკითხავ, ბებია, მაგ წიგნს „ვეფხისტყაოსანი" უნდა დაარქვა, — მითხრა და მეხიც დამცა. — ჰო, „ვეფხისტყაოსანი". ტარიელს ვეფხის ტყავი არ ეცვა? — მკითხა და თავი ჩემსკენ მოაბრუნა. ვიგრძენი, როგორ გავწითლდი.

— რას გაჩუმდი, ბებია? — შემეკითხა ცოტა ხნის შემდეგ. — ადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიანის შვილმა ასეთი რამე ზეპირად იცოდეს და იგი უნდა გაჩუმდეს?

ეჭვმა, დიდი ბებო ხომ არაფერს მიხვდა-მეთქი, მეტყველების უნარი წამართვა.

— იმ დღეს, იმ ეშმაკის მანქანაში (ეშმაკის მანქანას დიდი ბებო რადიოს ეძახდა), შენი ლექსები თქვა ვინცხა კაცმა, მგონია ილია ჭავჭავაძემ, თუ აკაკი წერეთელმა, კარგად არ მახსოვს. ისე კარგად კი ამბობდა, მარა შენზე კარგად, ბოდიში, ვერ გამოსდიოდა.

სიმწრის ოფლმა დამასხა.

— ჰოდა, როცა ეს წიგნი ზეპირად მითხარი, აწი სიკვდილიც არაფერია ჩემთვის, ჩემო ბებია, ვიცი ის საჩუქარი, რომელიც ოთხმოცი წელია აგერ, ზანდუკში მიდევს, ვის მივცე, ვის ეკუთვნის. გამომართვი ეს გასაღები და რომ მოვკვდები, მერე გახსენი. დოლბანდში რომაა გახვეული, ის შენ გეკუთვნის. მოუფრთხილდი, ბებია, იმას, ცივი ნიავი არ მიაკარო და შენს შვილთაშვილს გადაეცი, ასე ჩემსავით. — ცოტა ხანს ჩუმად იყო. გამიკვირდა, მძიმედ სუნთქავდა. — ახლა, წადი, შენს და-ძმასთან დაიძინე, მე კი, დედაშენი გამომიგზავნე, ვერ ვარ რაცხა კარგად.

ტირილი ამივარდა. მინდოდა დიდი ბებოსთვის ბოდიში მომეხადა, მეღიარებინა ჩემი შეცოდება, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

— ისე, ნურაფერს იჯავრებ ჩვენს ამბავთან დაკავშირებით, — განაგრძელა დიდმა ბებომ, — გულით გინდოდა ჩემთვის გესიამოვნებინა და ამიტომ მოიქეცი ასე. თავი გადადე. ესაა მეგობრობა, სხვა კი არაფერი. მადლობელი ვარ შენი, ნანაია, ცავ... ნამეტანი მადლობელი ვარ და კიდო, იმას გეტყვი, რაც ოთხმოცი წლის წინ მე მითხრა ჩემმა გიორგიმ — საამაყო ხარ, შვილო. წადი ახლა და დედაშენს დაუძახე.

* * *

დიდი ბებო ერთ კვირაში გარდაიცვალა. მზეს შეხედა, გაუღიმა, მშვიდად დახუჭა თვალი და მეტად არ გაუხელია.

გავხსენი ზანდუკი. მის ერთ კუთხეში სათუთად ეწყო ილიას, ვაჟას და აკაკის პირველი გამოცემები. იქვე იყო დოლბანდში საგულდაგულოდ გახვეული „ვეფხისტყაოსანი“. გადავშალე. ფორცტიტულზე წარწერა იყო:

— „ჩემს კატოს! ყველაზე ძვირფასი — რაც კი გამაჩნია ამ ქვეყნად, ეს წიგნია და ჩემი სიყვარული შენდამი. გიძღვნი ორთავეს“.

უფრო ქვემოთ სხვაფერის მელნით, იმავე ხელით იყო მიწერილი.

...მადლობელი ვარ შენი, რომ ამ უდიდესი წიგნის ზეპირად თქმაში ყველას აჯობე და ჯილდო დაიმსახურე! ბარაქალა შენს ქალობას. ვამაყობ შენით! გიორგი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ორნახევარი საუკუნის

წელს საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ჩვენი ქვეყნის მთავარი სამეცნიერო ცენტრის — მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წელი.

მისი შექმნის პროექტი 1724 წლის 23 იანვარს დაამტკიცა პეტრე პირველმა. ამ მნიშვნელოვანი აქტით საფუძველი ჩაეყარა გამოჩენილ მეცნიერთა ძალების გაერთიანებას ცოდნის სხვადასხვა დარგის განვითარებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლის და გამოყენების საკეთილდღეოდ.

მეცნიერებათა აკადემიის შექმნა დიდი მოვლენა იყო და მან თავისი არსებობის მანძილზე სავსებით გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებდნენ.

რევოლუციამდელ რუსეთში მეცნიერული კვლევა აკადემიის ფარგლებშიც კი შეზღუდული იყო. მეცნიერებათა აკადემიას სულ რამდენიმე ლაბორატორია და მუზეუმი გააჩნდა. არ ჰქონდა არც ერთი მსხვილი კვლევითი ინსტიტუტი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა მისი მუშაობა, გაიშალა და გაღრმავდა მეცნიერული კვლევა-ძიება, შეიქმნა მსხვილი კვლევითი დაწესებულებები, ახალი, შვილეული მეცნიერული ცენტრები ციმბირში, ურალზე, შორეულ აღმოსავლეთში, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების და რესპუბლიკური აკადემიების სახით, დარგობრივი აკადემიები.

საბჭოთა სახელმწიფო, პირადათ ვ. ი. ლენინი სამოქალაქო ომის უმძიმეს პირობებშიც არ აკლებდნენ ყურადღებას მეცნიერების განვითარების საქმეს, ზრუნავდნენ მეცნიერთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მეცნიერებათა აკადემიის წინაშე მაშინვე დაისახა საპატიო და მნიშვნელოვანი ამოცანა — ქვეყნის საწარმოო ძალთა შესწავლა, მათი რაციონალური გამოყენების პრინციპების შემუშავება ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა მეცნიერება საერთაშორისო მეცნიერების მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი კი არ არის, რომელიც დედამიწის ერთ მეექვსედზე ვითარდება, არამედ არსებითად სხვა სახის მეცნიერებაა. იგი მთლიანად და სავსებით ემსახურება ხალხს, მშრომელთა კეთილდღეობას, კაცობრიობის საუკეთესო პროგრესულ იდეალებს. საბჭოთა მეცნიერება კი არ ემიჯნება ხალხს, მის ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, პრაქტიკულ ამოცანებს, არამედ მის სამსახურს თავის უპირველეს და მთავარ ამოცანად თვლის. საბჭოთა მეცნიერების დემოკრატიზმი თავის გამოსახულებას პოულობს ფართო მასების გათვითცნობიერებაში, მეცნიერებასთან, მათ კავშირში, მეცნიერების ახალი მიღწევების დაუფლებაში. მხოლოდ თეორიული ცოდნისა და გამოკვლევების მტკიცე კავშირში პრაქტიკასთან, ადამიანთა საზოგადოებასთან, მხოლოდ პრაქტიკული ამოცანების გათვალისწინებით ვითარდება და ღრმავდება ყველა ჭეშმარიტი მეცნიერება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მეცნიერება აქცია დიდ სისტემად, რომელიც ღრმად შეიჭრა წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. მეცნიერებათა აკადემია აქტიურ და უშუალო მონაწილეობას ღებულობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების უზრუნველყოფაში, მატერიალური კეთილდღეობის, განათლების, კულტურის, ფიზიკური და გონებრივი ძალების განვითარებაში, საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

საბჭოთა მეცნიერების მიერ მიღწეული კვლევის მაღალი დონე საფუძვლად დაედო ურთულეს მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაჭრას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საბჭოთა მეცნიერება სულ უფრო და უფრო ვითარდება სხვადასხვა ქვეყნებთან და ხალხებთან მჭიდრო კავშირში.

დიდია საბჭოთა მეცნიერების წვლილი პლანეტათაშორისო კავშირის განხორციელებაში, ატომის ბირთვის შესწავლის საქმეში, მისი ენერგიის კაცობრიობის სამსახურში ჩაყენებაში, მძიმე, შრომატევადი პროცესების გაადვილებაში ავტომატიზაციისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით, დიდი ქიმიის განვითარებაში, ახალ-ახალი ნივთიერებების შექმნაში, რომლებიც შეავსებენ ბუნებრივი რესურსების დეფიციტს, კაცობრიობის დაუძინებელი მტრების — დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ახალი, დიადი პერსპექტივები დაუსახა სკკპ XXIV ყრილობამ საბჭოთა მეცნიერებს. მეცნიერებათა აკადემია ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, პირნათლად განახორციელებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

ნინო ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მარიჯან

## კარგი ლექსი

ვაჟას ლექსი — ვაჟურია,
წმინდა სვეტად მდგარი,
როგორც მაღალ კლდის მწვერვალზე
გადმომდგარი ჯვარი.

ვაჟას ლექსს არ მოედება
არც ობი, არც ხავსი,
ვაჟა მთების ბულბულია,
თან არწივის მსგავსი.

ვაჟას ლექსებს მუდამ ჰქონდა
ჩუმი სითბო ბუხრის,
ვაჟას ლექსი მყინვარივით
თავს არავის უხრის.

ზოგიერთი სიტყვებს სტანჯავს
და გზას აღარ გითმობთ,
ავიწყდება, რომ პოეტი
იბადება თვითონ.

კარგი ლექსის წარმოშობას
ხელს არავინ უშლის.
კარგი ლექსი ჩნდება მხოლოდ
უსპეტაკეს გულში!

რუთა ბეროძე

## მონოლოგი მზის ამოსვლისას

იყოს ლოდინი...
ნუ გამცემ პასუხს —
დამიგვიანე ლახვარის ტყორცნა.
ჩანს,
აღსარება ძნელია, როცა
სიყალბე ბორკავს ცოდვილის ლოცვას.

იყოს ლოდინი,
ლოდად დავრჩები...
ოღონდ როგორმე გაძლონ კერპებმა,
ოღონდაც რწმენა —
ფიცხი რაშებით
არ წარიტანონ ქარის ეტლებმა.

. . . .

კაცთა გულისთქმავ —
სიხარბის წამლად
შემოგაშველე მხრები ატლანტის...
ქედმოდრეკილი ვიდექ
და მწამდა —
სულის ქსოვილში ვერ გაატანდი.

და აღვიმართე ბალახის ღერი,
ამოწვერილი ასფალტის ზემოთ....
ცამ ისევ ლურჯი შეიტკბო ფერი,
მზემ დაიბრუნა ტახტი სამზეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარე-ბისათვის

თამარ ჩხაიძე

## მზეო, მზეო!

მზეო, მზეო წითელო,
ლაჟვარდ ციდან
მიცქერო,
შეიძლება ვიცელქო?
ვაგორავო ბურთი,
გავითხუპნო თუთით,
დათუნია, დათა,
თუთის ტოტზე დავსვა,
ხოლო მყავდეს უბეში,
ვიჭყუმპალო გუბეში.
მზეო, მზეო წითელო,
ციდან წყრომით
მიცქერო,
გულთბილო და კეთილო,
შენც ხარ ჩემი დედილო?!

ვაჟა უუბუსიძე

## სპილო როგორ არ ისწავლის?!

ერთხელ უფროს დაიას
პაწაწინა ძმია
ხელში აუყვანია და
ცირკში წაუყვანია.

ცირკში თურმე, ათი ირაში
ერთ კაცს უშენებია,
შემდეგ,
როცა მძლავრი ტაშით
გული უჯერებია,
წერა-კითხვის მოყვარული
სპილო უჩვენებია.
და უფროს დას უმცროს ძმისთვის
უთქვამს: — ხედავ, ძამიაო,
სპილოც სწავლობს ანა-ბანას,
შენ კი ვერ გისწავლიაო!
ძმას კი გაუკვირვებია:
— რად არ ესმის დაიასო,
სპილო როგორ არ ისწავლის —
ასი კილო თავი აქვსო?

## შეჯიბრი

— დათო, კრივში მერაბი
რატომ გჯობნის მუდამ?
— იმიტომ, რომ ყოველთვის
გამარჯვება უნდა.

— დავიჯერო შენ არ გსურს
სულ პირველი იყო?
— კი მსურს, მაგრამ უმცროსი
როგორ დავიბრიყვო?

## მზე და ხათუნა

მზევ კაშკაშავ, ჩემი დედა
ჩემთვის კერავს ლამაზ კაბას,
შენც მას ბაძავ: ყვავილებით
მთა და მდელო დაგიქარგავს.
მზეო, ჭიტა! შენი სითბო
გვახარებს და გვიყვარს ყველას,
შენს სხივებზე ეს ბუნება
იფურჩქნება მრავალ ფერად.

თინათინ გოგელია

## თოჯინა გაებუტა

ეკა თხუპნია გოგოა. დილით პირს დაბანენ, სუფთა კაბას ჩააცმევენ და თმაზეც პეპელასავით ლამაზ ბაფთას დაუსკუპებენ. შუადღემდე მაინც ამოითხუპნება. კაბაც, ბაფთაც მიეჭმუჭნ-მოეჭმუჭნება. არიგებენ, ტუქსავენ, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი".

ამას წინათ დედამ ეკას კოხტა, ოქროსთმიანი თოჯინა მოუტანა. უვლის და ეფერება ეკა თოჯინას, ცივ ნიავს არ აკარებს. აკვანიც გაუწყო, პაერზეც ასეირნებს, ნანასაც დაღიღინებს, და რაც მთავარია, კოხტად და სუფთად გამოწყობილიც დაჰყავს. სახელიც რომ ლამაზი დაარქვა — ცისია.

ერთ დილას გოგონამ ტირილით გაიღვიძა.

— რა გატირებს? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა დედამ.

— წუხელ, სიზმარში, ცისია გამებუტა, მარცხვენო — მითხრა, აბა, რითი ვარცხვენ? ყველაზე სუფთად და კოპწიად ეგ დამყავს.

დედას გაეღიმა:

— იმით, ჩემო ახტაჯანავ, რომ თავად შენ უშნოდ დადიხარ, რასაც შესჭამ, ლოყაზე გაცხია.

ეკა ჩაფიქრდა...

ვარდისფერი ლაწვები უფრო აუწითლდა. მერე ონკანთან მივიდა, პირი დაიბანა, მუხლისთავები მოისუფთავა. სარკესთან კაწაწა თმები გადაივარცხნა და ცისიას უთხრა:

— აი, ახლა ხომ მოგწონვარ, ცისია? — ნუღარ გამებუტები!

ნატო ჯოხაძე

## ძილისგუდა

დოლს გაუდის ბაგაბუგი,
ჩონგურს ლარი მკერდს ასკდება,
სარეკელა დავლურს უვლის
ყველა შრომობს, არვინ ცდება.

შაშვი გალობს, მზე პირს იბანს,
ხევში წყალი მოჩხრიალებს...
მაგრამ ეკას, ძილისგუდას,
ვინ აუხელს ადრე თვალებს.

თუმცა უკვე რა ხანია,
მოუწოდებს სკოლის ზარი...
მე სახელი გითხარით და
მიუწეროს თვითონ გვარი.

ამირან ბოკელავაძე

## წყარო

წყარო, წყარო,
ვერცხლისტანა,
ჩუხ, ჩუხ, ჩუხ, ჩუხ,
ბროლცინცხალა;
ვენახ-ვენახ
იბუტბუტე,
იდუდუნე
ყანა-ყანა,
ჩაეხვიე
ფესვს და ღეროს,
წყალი ასვი
წვეთანკარა,
მე, შენ იცი, რა სიუხვით
ამოავსებ ხეღელ-მარანს.

ლია ტაბიძე

## სათვალე

— დედი, ბებო ამ სათვალეს
რად იკეთებს ნეტავ?
— უფრო კარგად დაგინახოს,
ჩემო ერთადერთავ.

— მეც ხომ გუშინ, ბებოს ჩუმად
გავიკეთე სათვალე,
დედა ხუთად მომეჩვენა,
ბებო ვეღარ დავთვალე!

ლია ზანგურაშვილი



მეცნიერება ემსახურება ხალხს

# სიახლე წარმოებაში

თბილისის 35-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის მაღალი ტრიბუნიდან დელეგატებმა მოისმინეს გასაოცარი ფაქტი: მსოფლიო პრაქტიკაში პირველად თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაში განხორციელდა მაღალი სიხშირის დენებით გავარცხნილი შალის ლენტისა და ფთილის დამუშავების ახალი ხერხი, რაც საშუალებას აძლევს საწარმოს 16 დღეღამიდან 2,5 წუთამდე შეამციროს დამუშავების დრო, გააუმჯობესოს ნართის ხარისხი, მიიღოს დიდი ეკონომიური ეფექტი.

ეს მიღწევა საარაკოა! მისი ავტორია საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი სერგეი კაზაკოვი. მისი ხელმძღვანელობით საკითხი ჯერ ინსტიტუტის ლაბორატორიებში დამუშავდა. თეორიულად, შემდეგ კი პრაქტიკულად კამვოლური დართვის ფაბრიკაში გამოიცადა. შედეგი შესანიშნავია. დროში ასეთი სხვაობა უზარმაზარ მოგებას აძლევს საწარმოს.

ფაბრიკაში ირთვება სუფთა შალის და ნახევრადშალის ძაფი. ტექნიკური პროცესების მიხედვით შალის ბოჭკო დაახლოებით 25-მდე გადასვლას ახდენს, მექანიკური დამუშავების დროს ბოჭკო ღებულობს სტატიკურ ელექტრობას და როდესაც ის ეხება მანქანის ნაწილებს, შეძენილი ელექტრობის გამო ხდება ჩახვევები, წყვეტიანობა. ამ შეფერხებით საგრძნობლად მცირდება შრომის ნაყოფიერება, კლებულობს მანქანების წარმადობა, რაც ცხადია, ზრდის ნაწარმის თვითღირებულებას და დაბლა სწევს ხარისხს. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ტექნოლოგიურად გათვალისწინებული იყო ნახევარფაბრიკატების, კერძოდ, გავარცხნილი შალის ლენტისა და ფთილის განთავისუფლება სტატიკური ელექტრობისაგან. ამისათვის გავარცხნილი ლენტი და ფთილა 12-18 დღეღალამე უნდა ყოფილიყო მაღალტენიანობის მქონე სპეციალურ სათავსოში, რათა ბოჭკოს აღედგინა თავისი პირვანდელი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. ამის გამო უმოწყალოდ იკარგებოდა დრო, დიდხანს გრძელდებოდა დართვა.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ს. კაზაკოვმა შეიმუშავა ისეთი მეთოდი, როცა მაღალი სიხშირის დენებით გავარცხნილი შალის ლენტისა და ფთილის დამუშავებას დასჭირდა არა 16 დღედალამე, არამედ 2,5 წუთი.

საცდელად გამოიყენეს სამამულო [illegible] სახმარი მანქანა (ვჩდ-63/27), სადაც ჩაირთო მაღალი სიხშირის დენები და დამუშავდა ნახევარფაბრიკატები. გავარცხნილმა ლენტმა და ფთილამ მთლიანად აღიდგინეს თავიანთი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და განთავისუფლდნენ სტატიკური ელექტრობისაგან. ამას დაჭირდა ზუსტად 2,5 წუთი.

წარმოუდგენელი მიღწევაა. იგი იძლევა წელიწადში დაახლოებით 100 ათასი მანეთის პირობით ეკონომიას.

ამჟამად ფაბრიკაში ამუშავებენ მხოლოდ იმ ერთადერთ ელექტრომანქანას, რომელზეც ცდა იყო დაყენებული. აგრეგატი ძველია ამიტომ მისი მუდმივი მუშაობა ჭირს. ამავე დროს, მანქანა მოითხოვს სპეციალური განათლების მაღალკვალიფიციურ მომსახურე პერსონალს, რაც ფაბრიკას აკლია.

ინსტიტუტმა სათანადო ორგანიზაციებს უკვე დაუკვეთა დანადგარები, რომლებსაც თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაში ალბათ მალე მიიღებენ. ახალი მანქანები მთელი დატვირთვით იმუშავებენ, თუ შეუწყვეტლად მიაწოდებენ ნახევარფაბრიკატებს. მოგეხსენებათ, ფეიქრების მუშაობა დამოკიდებულია ძირითად ნედლეულზე — მატყლზე. იგი უმაღლესი ხარისხის უნდა იყოს, ცხიმიანობა ერთ პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

მართალია, ფაბრიკაში ხარისხის გეგმას ასრულებენ, მაგრამ დღევანდელ მოთხოვნილებებს მაინც ვერ პასუხობენ. ნართის ხარისხი დამოკიდებულია ნედლეულის ხარისხსა და დამუშავებული ნახევარფაბრიკატების ტექნოლოგიურ სრულყოფაზე. ამიტომ ფაბრიკაში ფიქრობენ ტექნოლოგიური რეჟიმის შეცვლაზე მხოლოდ ხარისხის მიხედვით და აქედან გამომდინარე დაასკვნიან, რომ გამოშვებული ძაფი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება იმ შემთხვევაში, თუ 25 გადასვლას, რასაც ძაფი წარმოებაში ახდენს, კიდევ 4 გადასვლა დაემატება, მაშინ ტრიკოტაჟული წარმოების ნართი დამზადდება ორმაგი ვარცხნით და მნიშვნელოვნად ამაღლდება ნახევარფაბრიკატის ლენტის ხარისხი. ამავე დროს, შემდეგ გადასვლებზე შრომის ნაყოფიერება გაიზრდება ათი პროცენტით.

ფაბრიკის დანადგარით დაინტერესდნენ მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოები და საზღვარგარეთის ფირმები. ამ ცოტა ხნის წინათ, აქ სტუმრად ჩამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების წამყვანი ფეიქრები, ისინი გაეცნენ მანქანის ტექნიკურ მონაცემებს, მის სიმძლავრეს, დარწმუნდნენ სიახლის გრანდიოზულობაში და ერთხმად აღიარეს, რომ ასეთი აგრეგატები წარმოებას გახდის მეტად ოპერატიულს, აღარ იქნება საჭირო ის დიდი თადარიგი, რომელიც გავარცხნილი ლენტისა და ფთილის დამუშავებას ჭირდებოდა.

მეცნიერება ამბობს თავის სიტყვას!

ირმა ჩოფიკაშვილი

# ნატო ვაჩნაძის დაბადების 70 წლისთავი





ესმა — ნატო ვაჩნაძე. ბახვა — მიხეილ გელოვანი (მარცხნივ). „სამი სიცოცხლე".



ნუნუ — ნატო ვაჩნაძე. იაგო — ვანო სარაჯიშვილი. „მამის მკვლელი".



ნენო — „ორსენა".

კადრები ქართული კინოფილმებიდან





ამ ცოტა ხნის წინათ სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მხატვართა კავშირმა გახსნა ბავშვთა ხელოვნების მუზეუმი. გთავაზობთ ბავშვთა რამოდენიმე ნამუშევრის რეპროდუქციებს.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხფაფ ლაზურია ოჯახში

# ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის მკვიდრი ხფაფ ლაზურია 140 წლისაა



ხფაფ ლაზურია ჩაის პლანტაციაში



# შევისწავლოთ რუსული ენა!

დიდი ხანი არ არის, რაც ტელევიზიის საშუალებით ტარდება გაკვეთილები რუსული ენის შესასწავლად. ჩვენი რესპუბლიკის სკოლების, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლების დაწყებით კლასებში ჯერ კიდევ საკმაოდ გვყავნან ბავშვები, რომლებსაც სკოლაში უჭირთ რუსული ენის შესწავლა, მოკლებულნი არიან რუსულ ენაზე მეტყველების გარემოს, ოჯახში არ ესმით არცერთი რუსული სიტყვა. სწორედ ასეთი ბავშვებისათვის მოაქვს დიდი სარგებლობა სატელევიზიო გადმოცემებს ენის შესასწავლად. ბავშვები ისმენენ სწორ მეტყველებას, ეუფლებიან სიტყვების გამოთქმას, იხსომებენ მათ მნიშვნელობას და მასწავლებლის მიბაძვით ცდილობენ წინადადებების გამართვას რუსულ ენაზე.

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის დოცენტის გულნარა ქუთათელიძის გაკვეთილებმა მოიპოვა როგორც პატარა ტელემაყურებლების, ისე სპეციალისტების აღიარება.

აღსანიშნავია, რომ ეს გაკვეთილები არ იმეორებენ სასკოლო საპროგრამო მასალას, მაგრამ ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ სასკოლო კურსის უკეთ შეთვისებას.

ყოველ სამშაბათს პატარა ტელემაყურებლები მოუთმენლად ელიან ცისფერ ეკრანზე დეიდა გულნარას გამოჩენას, მათ მოსწონთ ალერსიანი მიმართვა, დიდი გემოვნებით შერჩეული მრავალნაირი თვალსაჩინო მასალა: თოჯინები, სათამაშო მანქანები, ლამაზად შესრულებული ნახატები და სხვა.

პედაგოგს ისე ბუნებრივად მიჰყავს ეს გადაცემები, რომ ბავშვებს ავიწყდებათ დრო და მანძილი და უნებურად თავიანთი ადგილებიდან ესაუბრებიან, პასუხობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სტატის-ტიკო-სი

ზინაიდა თოხაძე სახელმწიფო სტატისტიკის ბათუმის საქალაქო ინსპექტორია. მას ბევრი კეთილი თვისება აქვს. მათგან ყველაზე მთავარი მაინც სამსახურებრივი მოვალეობისადმი ერთგულებაა. იგი დროულად აღრიცხავს სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობას, ახდენს მიღებული შედეგების ღრმა ანალიზს.

ზინაიდა თოხაძე ყოველი თვის, კვარტლის და წლის ბოლოს იღებს ციფრობრივ მონაცემებს საწარმო-დაწესებულებებიდან, რის საფუძველზეც აჯამებს და არკვევს ქალაქ ბათუმის ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეს, მშრომელების მიერ სახელმწიფო გეგმების შესრულების მდგომარეობას. შემდეგ ამ ცნობებს აწვდის აჭარის ასსრ, საქართველოს სსრ, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს, რათა შესაბამისი გაანგარიშებების საფუძველზე გაირკვეს როგორც ავტონომიური, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მიერ დაწესებული გეგმების შესრულების მდგომარეობა, ჩვენი ქვეყნის სისხლსავსე ცხოვრების წინსვლა.

ბათუმის საქალაქო ინსპექტურა, რომელსაც ზინაიდა თოხაძე ხელმძღვანელობს, თავის ამოცანას დროულად და ხარისხიანად ასრულებს. ამის დამადასტურებელია ზემდგომი სტატისტიკური ორგან.ოების მიერ ზინაიდასადმი გაცემული ჯილდოები, სიგელები და მადლობები.

ზინაიდა ფეხდაფეხ მიყვება ცხოვრებას. იგი მაშინვე ეხმაურება პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს, რომლებიც წარმოების შემდგომი განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის ხორციელდება. დიდმნიშვნელოვან საკითხს, რომელიც „სამეურნეო რეფორმის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ზინაიდა თოხაძემ ღრმაშინაარსიანი საგაზეთო სტატიები მიუძღვნა. ასე, მაგალითად, 1966 წელს გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ზ. თოხაძის სტატია სათაურით „მოგება, რენტაბელობა, მატერიალური წახალისება“. მასში ბათუმის მაგალითზე გაანალიზებულია იმ სიახლეთა შინაარსი და გაწეული მუშაობის შედეგები, რაც სამეურნეო რეფორმას მოყვა.

სტატისტიკოსებს სხვა საზრუნავიც აქვთ. ისინი ატარებენ ერთდროულ გამოკვლევებს და აღწერებს. ზ. თოხაძე ამ მხრივაც იმსახურებს ქებას. იგი მოსახლეობის ორი აღწერის მონაწილეა. ჯერ იყო და 1959 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ბათუმის მოსახლეობის აღწერა, მიღებული შედეგების სათანადოდ გაფორმება და არსებული წესის შესაბამისად გამოყენება. ზ. თოხაძე ხელმძღვანელობდა აგრეთვე ბოლო, 1970 წლისათვის ჩატარებულ მოსახლეობის აღწერას.

ამ ათიოდე წლის წინ ზინაიდას თაოსნობით კვარტალში ერთხელ დაიწყო გამოსვლა სპეციალურმა ბიულეტენმა ბათუმის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგების შესახებ. იგი დიდ დახმარებას უწევს ქალაქის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს... ახლა მსგავს სამუშაოს ეწევა საქართველოს ყველა ქალაქის სტატისტიკური ინსპექტურა.

ზინაიდა თოხაძე აჭარის სტატისტიკურ სამმართველოსთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის აქტიური წევრია. ჩაბმულია პარტიული განათლების ქსელში, ხანდაზმულობის მიუხედავად, სანიმუშოდ იმაღლებს პოლიტიკურ-ეკონომიური ცოდნის დონეს, გულმოდგინედ მეცადინეობს თეორიულ სემინარებში.

ა. ელიზბარაშვილი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# მერი შელი

ინგლისელი მწერალი ქალი მერი შელი ლიტერატურული სამყაროსათვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ასაკში, როცა თავისი ცხოვრება პოეტ პერსი ბიში შელის დაუკავშირა; ცხრამეტი წლისამ კი დაწერა მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანი „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“, რომელმაც უკვდავყო მისი სახელი.

მერი შელი, ინგლისელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების — მერი უოლსტონკრაფტისა და უილიამ გოდვინის ქალიშვილი იყო. ამდენად, თავიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მერი შელის დამოკიდებულება გენიალურ ინგლისელ პოეტებთან — პერსი ბიში შელისთან და ლორდ ბაირონთან.

მერიზე თავდავიწყებით შეყვარებული შელი წერდა: „დაე, ყველამ, ვინც მე მიცნობს, იცოდეს, რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი იქნება მხოლოდ ის, ვინც იგრძნობს პოეზიას და გაიგებს ფილოსოფიას“. პოეტის ამ სიტყვებს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ მერი შელი დიდად განათლებული, საღად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ, რომ მისი გონება თავისუფალი იყო ცრურწმენებისაგან, უზომოდ უყვარდა პოეზია, ბუნება და ამავე დროს, ქალური მომხიბვლელობის და სათნოების განსახიერებას წარმოადგენდა, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ამ შესანიშნავ ქალზე, რომელიც ფრიდრიხ ენგელსმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: „როცა ყველა ქალი ისეთი იქნება, როგორიცაა მერი შელი, დედამიწაზე დამყარდება სოციალიზმი“. ენგელსი დიდად აფასებდა მერი შელის ანტირელიგიურობას, მის შემოქმედებით ნიჭსა და განათლებას: — „რელიგიურ საკითხებზე თავისუფალი აზროვნება დიდი რისკია ქალებისათვის. ჟორჟ სანდისა და ქალბატონ შელის მსგავსი ქალები იშვიათი მოვლენაა“.

შელი თავის პოემაში „ისლამის აჯანყება“ დიდი სიყვარულით მოიხსენიებს თავის მეუღლეს მერის, მის მშობლებს; პოემის მთავარი გმირი ციტნაც ხომ მერი შელის იდეალური სახეა!

მერისადმი მიძღვნილ შელის ლექსებში გამოხატულია ის დიდი სიხარული და ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერება, რაც ამ ქალმა შეიტანა პოეტის ცხოვრებაში.

მერი და შელი განუყრელნი იყვნენ, ისინი ერთმანეთის სიახლოვით სრულყოფდნენ თავიანთ ცოდნას, ამდიდრებდნენ შინაგან სამყაროს, ალამაზებდნენ და ამსუბუქებდნენ თავიანთ, მძიმე განსაცდელებით სავსე ცხოვრებას.

ლიტერატურის კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ მერის კეთილისმყოფელ გავლენას შელის პოეტურ შემოქმედებაზე; აი, ერთ-ერთი მათგანის აზრი: „მერი შელიმ ბევრი რამ გააკეთა თავისი მეუღლის პოეტური ძალის განსავითარებლად. მერი გოდვინთან ცხოვრება შელისათვის დიდი სტიმული იყო. ამ პერიოდში მან შექმნა პოეზია, პროზა და პოეტური დრამები, რომლებმაც მას ინგლისელ მწერალთა შორის საპატიო ადგილი დაუმკვიდრა“.

მერის მართლაც დიდი წვლილი მიუძღვის შელის, როგორც პოეტისა და პიროვნების ღირსეული რეპუტაციის შექმნაში. შელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას კარგა ხანს ინგლისში ობიექტურად ვერ აფასებდნენ. მერის ოცნება იყო დაეწერა წიგნი შელის ცხოვრებაზე, მაგრამ პოეტის მამასთან მეტად დაძაბული დავის პირობებში ეს შეუძლებელი გახდა. მერი შეეცადა ნაწილობრივ მაინც განეხორციელებინა თავისი მიზანი და შელის ნაწარმოებებს დაურთო ვრცელი შენიშვნები.

დამაჯერებელი ტონით, პირუთვნელი კრიტიკით, შესანიშნავი ლოგიკით და შეფასების სისწორით ეს კომენტარები მეტად საინტერესონია, ისინი გვიდასტურებენ რაოდენ შესისხლხორცებული ჰქონდა მერის შელის პოეზია.

შელის მრავალი ლექსი მერიმ აღადგინა და პირველად გამოაქვეყნა. მერისეულ შენიშვნებში პოეტი შელი წარმოდგენილია უაღრესად კეთილშობილი, დიდი შინაგანი ჰვრეტისა და გენიის მფლობელად. მერის მიერ გამოცემულმა შელის ნაწარმოებთა სრულმა კრებულმა შელის დიდება მოუტანა და მისი პოეტური ღირსება უფრო ობიექტურად შეფასდა, ვიდრე მის სიცოცხლეში.

თავის მხრივ შელიმ მერის არსებაში აანთო შემოქმედებითი ნაპერწკალი, მისი უსაზღვრო სურვილი იყო მერი გამოსულიყო სამწერლო ასპარეზზე.

მერიმ გაამართლა პოეტის სურვილი. თავის შემოქმედებით, განსაკუთრებით თავისი პირველი რომანით — „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“ — მერიმ ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

მერის მწერლობასთან კავშირი რომ არ ჰქონოდა, შელის პოეზიის თაყვანისმცემელთა სიყვარულს მაინც დაიმსახურებდა, როგორც შელის სატრფო, შესანიშნავი მეუღლე, უერთგულესი ქვრივი და შელის შვილის თავდადებული დედა.

შელის გარდაცვალების შემდეგ გულმოკლული მერი წერდა: „ჩემში ჩაქრა ყველაფერი: შემოქმედებითი წვა, ცხოვრების ხალისი და სილაღე“.



„ეგ ძვირფასი გამოხედვა მიმტკიცებს, რომ შენ ჩემი იყავ და უკან მზირალ ჩემს გონებას მოაგონებს სიყვარულისა და ბედნიერების გრძელ ზღაპარს“, — წერდა მერი შელი მეუღლის მოგონებისას და მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ამ ბედნიერი ზღაპრის დაუსრულებელი მოგონებებით იყო სავსე.

ლორდ ბაირონისა და პერსი ბიში შელის მეგობრობა ცნობილია. რაც შეეხება მერის სიმპათიებს ბაირონის მიმართ, ეს ცხადი ხდება წერილების გაცნობისას: მერის აღტაცება ბაირონის პოეზიით უსაზღვრო იყო. ბაირონი თავის მხრივ მოხიბლულა მერის განათლებით და გარეგნობით.

მერი შელის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ იგი იყო ერთი იმ მცირერიცხოვან ქალთაგან, ვინაც ბაირონი ჭეშმარიტად მოხიბლაო.

მერი შელი იყო ბაირონის ნაწარმოებების პირველი მკითხველი და გადამწერი. ლორდ ბაირონი ენდობოდა მწერალი ქალის ლიტერატურულ გემოვნებას, ინტუიციას და განათლებას. ერთ-ერთ თავის მეგობარს მერი შელი წერდა: „მე დაგისახელე შენი წიგნის ყველა სადაო ადგილები და გევედრები მომცე უფლება მათ ისევე მოვექცე, როგორც ბაირონის „დონ-ჟუანს“, რომელშიც მე გამოვტოვე ყველა ადგილი, რაც ეწინააღმდეგებოდა ჩემს გემოვნებას“.

მერი შელი შესანიშნავად იცნობდა ბაირონის შემოქმედებას, მის ხასიათს, იცოდა ბევრი ფაქტი ბაირონის პირადი ცხოვრებიდან. ერთ-ერთ წერილში, სადაც მერი შელი ბაირონის შემოქმედებას მიმოიხილავს, იგი იხსენიებს ინგლისის არისტოკრატიული საზოგადოებიდან იმ ქალთა სახელებს, რომლებსაც გულისხმობდა ბაირონი „დონ-ჟუანის“ ამა თუ იმ გმირი ქალის სახის შექმნისას. მერი შელიმ უამრავი ძვირფასი მასალა მიაწოდა ბაირონის შესახებ ტომას მურს, რომელმაც დაწერა საინტერესო წიგნი ბაირონის ცხოვრებაზე.

დიდი იყო ბაირონის პიროვნების და მისი პოეზიის გავლენა მერი შელის შემოქმედებაზე. ბაირონის ხსოვნა დაუვიწყარი იყო მერი შელისათვის, რაც მან გამოხატა თავის წერილებში, რომანებსა და მოთხრობებში. ლორდ ბაირონი აღიარებულია „ფრანკენშტაინის“ შემდგომ დაწერილი რომანების მთავარ გმირთა პროტოტიპად.

მერი შელიმ ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, როგორც მწერალმა ქალმა, განსაკუთრებით, თავისი პირველი უკვდავი რომანით — „ფრანკენშტაინი ანუ თანამედროვე პრომეთე“, რომელსაც ბაირონი „გასაოცარს“ უწოდებდა.

ნანა კოპალეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




მადამ ტიუსო

# მადამ ტიუსოს მუზეუმი

მინდა გიამბოთ ლონდონის სანთლის ფიგურების მუზეუმის შესახებ, რომლის შემქმნელი და დამაარსებელი გახლავთ ქალი — მადამ ტიუსო.

მართლაც რომ უსაზღვრო ფანტაზია, დიდი განათლება, შრომის უზარმაზარი უნარი უნდა ჰქონოდა ამ საოცარ სანახაობათა შემქმნელს. იმდენად ძლიერი ყოფილა ამ უნიკალური მუზეუმის დაარსების სურვილი, რომ მადამ ტიუსო საკუთარი სახსრებით შეჭიდებია მის განხორციელებას. და, მეცადინეობასაც უქმად არ ჩაუვლია...

ყველა ტურისტი, ლონდონში ჩასვლისთანავე, ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, ეს საოცარი დაწესებულება მოინახულოს.

შესასვლელ, ვეებერთელა ოთახში რამდენიმე მაგიდა დგას, რომელთაც ყმაწვილი ქალები უსხედან: ერთი პომადას ისვამს, მეორე გაზეთს კითხულობს, მესამე სარკეში ეკეკლუცება თავს... რამდენიმე მათგანი ბილეთს გიწვდის და გიღიმის, თითქოს გთხოვს — „ჩემგან იყიდეთ რა, ბილეთი!“ მაგრამ არ შეცდეთ, ამ „მოლარეებში“ ერთია მხოლოდ ნამდვილი — ცოცხალი! ამიტომაა, ფრთხილად რომ უახლოვდებიან მუზეუმის დამთვალიერებლები მათ. არ უნდათ შეცდნენ — სანთლის გოგონას გაუწოდონ ფული და ჯილდოდ სხვა მნახველთა ხარხარი დაიმსახურონ. მაგრამ, თუ მაინც ასე მოხდა, ნუ დაიმორცხვებთ, რამდენიმე წუთის წინ ისინი თავად შეცდნენ და ახლა სხვისი სეირის საყურებლად გამდგარან გვერდზე.

მუზეუმში რამდენჯერმე გახლავართ ნამყოფი და ვერცერთხელ ვერ მოვხვდი ნამ-

დვილ მოლარესთან. ნამდვილი მოლარე მაშინ მიმიწვევდა, როცა უკვე შეცდომას დავუშვებდი.

ბილეთი შეძენილია, ახლა საჭიროა კონტროლიორმა გაგიხიოთ იგი. და, კვლავ წელანდელი ისტორია მეორდება — კონტროლიორებიც სანთლისანი არიან, ერთის გარდა. აი, ვიღაც ჯენტლმენი რამდენჯერმე შეცდა და გაბრაზებული უკან აპირებს გაბრუნებას. აქ მე, მკითხველო, მხოლოდ ერთხელ შევცდი. მერე, დავიჭერდი ხელში ბილეთს და გეზს პირდაპირ დარბაზისაკენ ავიღებდი — „გნებავთ, მოხიეთ, არა და, კარგად ბრძანდებოდეთ!“

აქ, ამ საოცარ მუზეუმში გამოფენილია მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი პიროვნების სანთლის ფიგურა.

პირველი დარბაზი დათმობილი აქვთ მინისტრებს: ჯოზეფ ჩემბერლენი, უილიამ პიტი, სერ ანტონი იდენი, ნევილ ჩემბერლენი, აქვეა უიტსონ ჩერჩილი თავისი განუყრელი სიგარით.

დიდებული სანახავია ინგლისის სამეფო საგვარეულოს განყოფილება, ბუკინგამის სასახლის სატახტო დარბაზი, პერცოგინია გლოუსისტერი, კენტია, პრინცესა მარგარიტა, ინგლისის დედოფალი ელისაბედი.



ელისაბედის ოჯახი

ელისაბედ დედოფალი (1558-1608)



ვის არ დააინტერესებს ფრენსის დრეიკის, ლორდ ველინგტონის, ნაპოლეონის, ადმირალ ნელსონის ხილვა.

აქვეა სულიერი მამანი: ჯონ კნოხი, საეკლესიო არმიის დამაარსებელი გენერალი კარლილი და ბოლოს, მარტინ ლუთერი.

თითქოს პირადად შეხვდით ჯორჯ ვაშინგტონს, ფრანკლინ რუზველტს, დუაით ეიზენჰაუერს, ჯავახარლალ ნერუს, სტალინს, ვოროშილოვს...

დიდი ინტერესით ათვალიერებთ ლუი მეთექვსმეტის, მარია ანტუანეტას, მარია სტიუარტის, უილიამ პირველის და სხვათა გამოსახულებებს.

შეუძლებელია, არ შეგზაროთ მარია სტიუარტისათვის თავის მოკვეთის სცენამ.

აქ ხშირად შეხვდებით მუზეუმის ორ მსახურს, რომლებიც სენტიმენტალურად განწყობილი მანდილოსნებისთვის არიან მიჩენილნი.

აი თქვენთვის კარგად ნაცნობი მწერლები: ვალტერ სკოტი, ჰერბერტ უელსი, ონორე დე ბალზაკი, ჯორჯ ბაირონი, ჩარლზ დიკენსი, უილიამ შექსპირი, მსახიობები: ჩარლი ჩაპლინი, მერლინ მონრო, სოფი ლორენი.

შთაბეჭდილებებით სავსე გადიხართ შემდეგ დარბაზში და... გაჭენებულ ცხენებს შეეფეთებით. ვერ ასწრებთ გონს მოხვიდეთ, თავზარდაცემული უკან იხევთ, ბედაურებმა არ გადამთელონო!.. ტყუილია თქვენი შიში. ეს გიორგი მეექვსე „მიემგზავრება“ ოჯახით. აი, გოგონები ცხვირსახოცებსაც კი გიქნევენ. მიჭრის სამი წყვილი ცხენი... ამ ცხენებს წინ თუ არ გაუარეთ, სხვა დარბაზში ვერ მოხვდებით. გაოგნებული დგახარ... ვიღაცამ გაბედა და გაქანებულ ცხენებს წინ გაუარა, შენც ბაძავ მის მაგალითს, ბედავ მეორე ოთახში გასვლას...

მეორე ოთახი კი... საშინელებათა დარბაზი გახლავთ, ცოლების, შვილების, დედების, ძმათა მკვლელების დარბაზი. აი, თაუერის ციხეში პრინცის მოკვლის სცენა. აი, მსოფლიოს ყველა საუკუნის უდიდესი ბოროტმოქმედი — ჰიტლერი.

ერთ-ერთ დარბაზში უბრალო სკამზე თავდახრილი ზის მადამ ტიუსო. ზის დაღლილი, იმედგაცრუებული... შემოლევია ყველა სახსარი, ამ დიდებული წამოწყების — სანთლის მუზეუმის დასამთავრებლად.

ბატონ ლორდებს უკვე მოუსმენიათ გულცივად ქალის ჩივილი — სახსრები აღარ მყოფნის ეს დიდი საკაცობრიო საქმე ბოლომდე მოვიყვანოო.

ერთხელ მუზეუმის მსახურმა გვერდზე გამიხმო და საიდუმლოდ მიამბო: „მართალია ლორდებმა მაშინ უარი უთხრეს მადამ ტიუსოს დახმარებაზე, მაგრამ, რაც იყო გაკეთებული, იმის დასათვალიერებლად მაინც მობრძანდნენ“. როცა ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა, ყველა ლორდი ერთად მიეახლა მადამ ტიუსოს. ლორდთა უფროსს თერთმეტი წუთი დაუხარჯავს მის ხოტბაზე, შეუთავაზებია — ხვალვე მობრძანდით, მიიღეთ საჭირო თანხაო. ლორდ-ხაზინადარს შესწორება შეუტანია: რასა ბრძანებთ, დღესვე მოვიდეს, დღესვე მივართმევთ ფულსო. სხვებიც გამოსულან და ქება-დიდება შეუსხამთ სახელოვანი მანდილოსნისათვის. ამ დროს კარი გაღებულა და წელში ამაყად გამართული მადამ ტიუსო შემოსულა სახეზე გამარჯვების ღიმილით: ბატონო ლორდებო, თქვენ სანთლის ტიუსოს ესაუბრებოდით, ცოცხალი კი აქ გახლავართ, თქვენს წინაშეო.

ვახტანგ ბარათაშვილი



12.403

# პარტიის მოწოდების პასუხად



წელს ქალთა ჟურნალი აღნიშნავს თავისი არსებობის 50 წლისთავს, ამასთან დაკავშირებით გამოვთქვამთ ჩვენს სურვილებს და გაგაცნობთ მუშაობის გეგმებს.

**კლარა ცნოგილაძე — საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერიის“ პარფიუმერიის საამქროს მე-2 ბრიგადის ბრიგადირი:**

— აბა, რომელი ქალი გინახავთ, რომ სუნამოს არ ხმარობდეს. ჩვენ კი, ქართული სუნამოს დამამზადებლებს, პირველ რიგში სწორედ ქალთა პირუთვნელი სიტყვა გვჭირდება, თუ როგორია ჩვენი პროდუქცია. ზოგნი გვაქებენ, ზოგნი საყვედურებსაც ამბობენ ჩვენს მიმართ. ეს შენიშვნები ხანდახან ქალთა ჟურნალმაც რომ მოგვახსენოს, ნამდვილად გვარგებს. უფრო სწორედ, საქმეს არგებს. ქება იმდენად არ მოგვიხდება, რამდენადაც ნაკლის მითითება, მისი დაძლევის გზის ჩვენება.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა მარტო ჩვენ კი არა, მე მგონი ჟურნალის მუშაკებსაც სჭირდებათ. ზოგჯერ, სამწუხაროდ, ჟურნალშიც იბეჭდება ნაკლებ საინტერესო მასალები, სუსტი ნარკვევები, მოთხრობები, ლექსები. დღევანდელი მუშა ხომ ის აღარ არის, რაც ადრე იყო. მუშები დღეს უფრო განათლებულები არიან. მათი სულიერი სამყარო მეტს მოითხოვს. ამიტომ მიიღეთ ჩვენგან ეს პატარა „წკიპურტები“.



**ვენერა წიკლაური — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს მქსოველი:**

— 13 წელია წარმოებაში ვმუშაობ და როგორც მუშა, მეც ვეძებ ჩემს სულიერ საზრდოს ჟურნალში. ამ ხნის მანძილზე დიდი გზა გავიარე, გავხდი კომუნისტური შრომის დამკვრელი, კომუნისტი, ცვლის პარტჯგუფორგი, საამქროს პარტიული ბიუროს წევრი. 1973 წელს მოპოვებული წარმატებისათვის დამაჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

13 პნევმატურ დაზგაზეა გადაჭიმული ჩემი სასარჩულე და ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილები, რომლებსაც შემდეგ ასეთი მომთხოვნელობით და გემოვნებით არჩევენ ჩვენი ქალები. ვმუშაობ მზია არათანაშვილის მეთოდით — 5 დღის ნორმას ვასრულებ 4 დღეში. ამ მეთოდზე და მის ავტორზე წავიკითხე თქვენს ჟურნალში (მე ყოველთვის პირველ რიგში ვეცნობი წარმოების მოწინავეებზე დაბეჭდილ წერილებს, ნარკვევებს, ჩანახატებს. ვცდილობ ვიყო მათსავით სანიმუშო, სამაგალითო). შემდეგ მეც მივბაძე არათანაშვილს. ახლა ხომ ამ სახელოვან მუშა ქალს ათასობით მიმდევარი ჰყავს.

ჟურნალი ჩემი მეგობარია. ის შეუმჩნევლად მეხმარება შრომაში, ცხოვრების უკეთ გაცნობაში, საოჯახო საქმეში. ვუსურვებ მას ყოფილიყოს უფრო პოპულარული, საიმედო დასაყრდენი ჩვენი შრომისა და ცხოვრების გზაზე.



**მავრა რუხაძე — თბილისის საკონდიტრო კომბინატის ბრიგადირი:**

— ჩვენს საამქროში ძირითადად ხელით შრომაა. ეს სამუშაოს თავისებურებამ განაპირობა. ვამზადებთ შოკოლადის კამფეტებს ლიქიორით. ვმუშაობთ ერთი მიზნისათვის — რაც შეიძლება ნუგბარი იყოს ჩვენი პროდუქცია, გემოთი — საამო, არომატით — მიმზიდველი. ქალები ხომ ტკბილეულის განსაკუთრებული მოყვარულები არიან!

ჟურნალში ვკითხულობ მასალებს, თუ როგორ ამაღლდა დღეს მოთხოვნილება ხარისხისადმი. რესპუბლიკის ყველა მუშა იბრძვის ხარისხის ნიშნისათვის. ამ დროს არ შეიძლება მეთვალყურის როლში ყოფნა, ჩვენც უნდა შევიტანოთ წვლილი მაღალი მიზნებისათვის გაჩაღებულ სახალხო შრომაში.

განსაკუთრებით მიზიდავს ჟურნალში ბავშვთა აღზრდის საკითხები. ჩემი ორი შვილი თქვენი რჩევებით და დახმარებით გავზარდე. ჟურნალმა ბევრი რამ მასწავლა „პედიატრიის ანბანიდან“ და „პედაგოგის რჩევიდან.“ ამისათვის დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ და გისურვოთ, უფრო მეტი გაგვეკეთებინოთ მუშებისათვის, დედებისათვის.



**მარიამ ალავერდაშვილი — თბილისის ტყავ-საგალანტერეო ფაბრიკის საგალანტერეო საამქროს მუშა:**

— ვამზადებ ქალის ჩანთებს სხვადასხვა დანიშნულებისათვის, დღეში 400–450 ჩანთა გაივლის ჩემს ხელში. ჩემი სამუშაო ხელით სრულდება — სახელურების მიკერება იქნება ეს თუ „ელვასაკეტის“ ჩაკერება. ხელით შრომა ბევრ დროს მოითხოვს. 1962 წლიდან ამ სამუშაოზე ვარ და მას შემდეგ სულ ვფიქრობ, ნუთუ არ შეიძლება ამ ოპერაციების შესრულება მანქანებით? მაშინ ხომ უფრო მეტ პროდუქციას გამოუშვებდა ჩვენი საწარმო!

მექანიზაციამ ფართოდ მოიკიდა ფეხი სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, ამაზე ბევრს ვგებულობთ ქალთა ჟურნალიდანაც. მაგრამ, დარჩა ისეთი სამუშაო ოპერაციები, სადაც ჯერ კიდევ ხელით შრომაა გამოყენებული. მე ვუსურვებდი ჟურნალს წეროს იმ ქალებზეც, რომლებიც ხელით შრომობენ დღესაც, ტექნიკის საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ქალთა საბჭოებში

# მოწინავე წარმატებათა საწინდარი

დღეობაცაა და დღეობაც! საგარეჯოს ქალთა რაიონულმა საბჭომ რომ თავისი სახელოვან თანამემამულეს — ყანდაურელ ნინო ადუაშვილს დაბადების 55 წლისთავი აღუნიშნა, იმ დღეობაზე რაიონის ყველა სოფელმა გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი. იქ იყვნენ რაიონის ხელმძღვანელებიც, მოწინავე ადამიანებიც, თბილისიდან ჩასული სტუმრებიც და მასპინძლებიც — მთელი სოფელი.

თეთრბაფთიან ოქტომბრელებს, ალისფერ ყელსახვევიან პიონერებს ბლუჯა-ბლუჯა მოჰქონდათ იქვე ფერდობზე დაკრეფილი იები და კორჩიოტები. ყანდაურაში გაზაფხულის დილა იდგა, პირველი მზიანი დილა გაუთავებელი წვიმებისა და ცივი ქარების შემდეგ. და ეს თვალშეუდგამი ცის სილურჯე, ცივგომბორის თავზე დაზვინული თეთრი ქულები, ნაწვიმარი მიწის ნებიერი სუნთქვა და საგაზაფხულო ქრჟოლვაშემდგარ ხეთა ტოტები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ბუნების მიერ მორთმეული ნობათი.

ყანდაურის საგულდაგულოდ დაკრიალებულ ფერმებს მზეზე თეთრად გაჰქონდათ ქათქათი. ფერმის ერთი კედელი წითელი ალმებით მოერთოთ. წითელმაუდგადაფარებულ მაგიდასთან სახელოვანი მწველავი იჯდა, თავისი ბრიგადის წევრებით გარშემორტყმული. რამდენიმე წელია, რაც ნინოს თაოსნობით მწველავ ქალთა ბრიგადა ჩამოყალიბდა და მას შემდეგ ჭირიც და ლხინიც განუყოფელი აქვთ ნინოს და მის მუყაით დობილებს — მარიამ ადუაშვილს, ეთერ ჯავახიშვილს, მარიამ არაქელოვას და მარიამ კუმელაშვილს.

საზეიმო სხდომა გახსნა და იუბილარის სახელოვანი შრომითი ბიოგრაფია უამბო დამსწრეებს საგარეჯოს ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ მარიკა ბაბუნიძემ. საამბობი კი მართლაც იყო...

პატარძლობაში ჩაიცვა ქვრივის თალხები ნინო ადუაშვილმა; ოცდათერთმეტი წლის წინ ქერჩის მიწამ მიიბარა მისი ვაჟკაცი. ერთადერთ ნუგეშად ცეროდენა გოგონა დარჩა და მის მოვლაში და თავაუღებელ გარჯაში ინელებდა გამოუნელებელ დარდსა და ვარამს. ხან თოხი ეკავა ხელში, ხან ბარი. არ დარჩენილა მის სოფელში მეურნეობის არცერთი უბანი, ნინოს კარგი ქალობისა და გამრჯე მარჯვენის ნაამაგარი რომ არ დამჩნეოდა.

თავდაუზოგავი შრომისათვის სოფელმა ჯერ კიდევ 1944 წელს ნინო სასოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩია და ამით გამოუცხადა თავისი ნდობა და სიყვარული. დღეს კი იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მაღალ სახელს ატარებს.

ნინო ადუაშვილს მთავრობის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული ალალი შრომის საზღაურად. ეს შეხვედრაც ხომ ჯილდო იყო — ქვეყნის წინაშე მისი დამსახურების სახალხო აღიარება. მღელვარებისაგან სახეშეფაკლული იჯდა სადღესასწაულო მაგიდასთან და უსმენდა პატარების მიერ მიძღვნილ ლექსებს, სიმღერებს, გულწრფელი სიყვარულით გამთბარ მისასალმებელ სიტყვებს. ყველაფერზე ემჩნეოდა, რომ თავს უხერხულად გრძნობდა და მაინც... ძალიან ბედნიერი იყო. ბედნიერებით სუნთქავდა მთელი მისი გარეგნობა — მშვენიერი გიშერა თვალები, ქათქათა, მიჯრილი კბილები, მიმზიდველ ღიმილში გახსნილი ბაგე, კაფანდარა ტანი, თხელი, მთრთოლვარე ხელის მტევნები...

მადლობის მეტი რა ეთქმის ამ მშვენიერი ღონისძიებისათვის საგარეჯოს ქალთა რაიონული საბჭოს წევრებს! რამდენიმე თვეა, რაც ამ საბჭოს შემადგენლობა თითქმის სრულიად განახლდა. ამჟამად მას ხელმძღვანელობს რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე მარიკა ბაბუნიძე, ხოლო მოადგილეობას საგარეჯოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მერი ლეჟავა უწევს. და, რა თქმა უნდა, ქალთა საბჭოს თავის მზრუნველობას არ აკლებს და ყველაფრის კურსშია პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედეა მეზვრიშვილი.

ამას წინათ ახლადარჩეული საბჭოს წევრები გამოცდილების მისაღებად ეწვივნენ თელავის რაიონულ ქალთა საბჭოს, რომელსაც მუშაობის მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ენთუზიაზმი, რომლითაც თავიანთ მომავალ სამუშაო გეგმებზე ლაპარაკობენ საგარეჯოელი ქალები, იმაზე მიუთითებს, რომ მათ სერიოზულად აქვთ გადაწყვეტილი, მეტოქეობა გაუწიონ რესპუბლიკის ყველაზე მოწინავე ქალთა საბჭოებს. და გვჯერა, რომ სწორედ ეს ენთუზიაზმი გახდება მათი მომავალ წარმატებათა საწინდარი.

ნ. ბარათაშვილი

# ნინიკო

მინიატურა

ნინიკო დაბადებიდანვე ხეიბარია. თვრამეტი წელიწადია პირაღმა წევს. დაჯდომაც არ შეუძლია.

იმ დილით ადრე ავდექი. მეუღლეს გემრიელად ეძინა და აღარ გავაღვიძე.

გადავწყვიტე ნინიკოს ვსტუმრებოდი. ამ დროს სახლში ყოველთვის მარტოა. დედა მუშაობს. მამა არა ჰყავს. უფროსი და კი ცალკე ცხოვრობს. მეზობლები პატრონობენ დედამისის დაბრუნებამდე.

— დილა მშვიდობისა, ნინიკო! — მივესალმე.

— დილა მშვიდობისა, — გამიღიმა.

ჩემთან საუბარი უყვარს.

— როგორა ხარ?

— კარგად.

— ხომ არაფერი გინდა?

— არა.

— არც წიგნი გინდა წაგიკითხო?

— არ მინდა.

— მერაბი ხომ არ გინახავს? რამდენი ხანია არ გამოჩენილა. — მითხრა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ნინიკომ.

— არა, არ მინახავს.

მერაბი მეზობლის ბიჭი იყო. ნინიკოს უყვარდა. მეზობლები ატყუებდნენ, შენი საქმროაო და ნინიკოსაც სჯეროდა.

— ერთი რამე მინდა გითხრა, მხოლოდ მერაბს არ უთხრა, იეჭვიანებს!

— არ ვეტყვი.

— მე სხვა მიყვარს. — ჩურჩულით წარმოსთქვა.

— მერაბი აღარ გიყვარს?

— მომწყინდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეჭვიანობს. მომკლა პირდაპირ! — თავისი დის სიტყვები გაიმეორა. — აღარ მიყვარს. წინათ კარგად იქცეოდა, ახლა რასა გავს, ველარა ვცნობ.

— მაინც ვინც გიყვარს, იმას თუ უყვარხარ?

— ვუყვარვარ, ნამდვილად ვუყვარვარ!

— ვინ არის?

— ტელევიზიის ახალი დიქტორი.

— კი, მაგრამ, საიდან იცი, რომ უყვარხარ?

— ვიცი!

— საიდან?

— ისე მიყურებს, რომ ნამდვილად ვუყვარვარ, სულ მიცინის.

— მერაბის რა პასუხს აძლევ, ის ხომ შენი საქმროა.

— აკი გითხარი, მომბეზრდა-მეთქი, მისი ნახვაც არ მინდა.

— რატომ, ნინიკო? რა დაგიშავა?

— არაფერი! ისეთი არ აღმოჩნდა, როგორიც მეგონა, — ესეც მისი დის ლექსიკონიდან იყო.

ერთხანს კიდევ ვისაუბრეთ. ასე არასოდეს შემცოდებია იგი.

ბიძინა კალანდაძე

# ჯანმრთელი მომავალი თაობისათვის

რა შეედრება იმ სიხარულს, რაც ახალშობილს მოაქვს ოჯახისა და დედ-მამისათვის. სამწუხაროდ, ყველა ორსულობა როდი მთავრდება ბედნიერად; ჯერ კიდევ მრავლადაა შემთხვევა, როცა ნაადრევად, თვითნებურად წყდება ფეხმძიმობა, ანდა, კიდევ უარესი, მახინჯი ბავშვი იბადება.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყველა ჩასახვათა თითქმის 50 პროცენტი ემბრიონის (ჩანასახის) დაღუპვით მთავრდება. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ჩანასახი ისე ადრეულ სტადიაში იღუპება, რომ ამის რეგისტრირება არც კი ხდება.

მედიცინის განვითარებამ, დიაგნოსტიკის მეთოდების სრულყოფამ ნათელი მოჰფინა იმ მიზეზებს, რომლებიც ჩანასახის განვითარების შეფერხებას, დაღუპვას იწვევენ. ჩანასახზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა რიცხვს დღეს მიაკუთვნებენ: მაიონიზირებულ რადიაციას, რენტგენის სხივებს, ზოგიერთ ვირუსულ, ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებს, სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებსა და მედიკამენტებს, ნერვულფსიქიკურ მოშლილობებს, ალკოჰოლიზმსა და სხვ.

გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი მავნე გავლენას ახდენს ჩანასახის გენეტიკურ აპარატზე. გენეტიკური აპარატის ყოველგვარი დარღვევა კი უთუოდ გამოვლინდება სხვადასხვაგვარი ანომალიებით.

ზოგჯერ ეს ცვლილებები შეიძლება განვითარდეს იმავე ფაქტორების ზემოქმედებით დედის ან მამის სასქესო უჯრედებზე — კვერცხუჯრედსა და სპერმატოზოიდზე — მათი მომწიფების პროცესში, ე. ი. კვერცხუჯრედის განაყოფიერებამდე. ზოგიერთ შემთხვევაში ჩანასახის ანომალიები გაპირობებულია მემკვიდრეობის ფაქტორებით, რომლებიც ნაყოფს მშობლებისაგან გადმოეცემა.

10-15 წლის განმავლობაში მთელი რიგი კვლევითი მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწყო თვითნებური აბორტების, მკვდრადშობილი და მახინჯი ბავშვების დაბადების მიზეზების შესწავლას. გამოირკვა, რომ თვითნებური აბორტების 28 პროცენტი გაპირობებულია ქრომოსომული ანომალიებით. ხშირ შემთხვევაში ეს ფაქტორი იწვევს მკვდარი და მახინჯი ნაყოფის დაბადებასაც.

ბევრი მკვლევარი ქრომოსომულ ანომალიებს უკავშირებს დედის ასაკს. რაც უფრო ხნიერია დედა, მით უფრო მეტია ქრომოსომული ანომალიების წარმოქმნის საშიშროება.

როგორი თაობა ეყოლება ამა თუ იმ მშობლებს, ამის დადგენაში მოგვეხმარება მედიკო-გენეტიკური კონსულტაციები. ასეთი კონსულტაციები ახლა ბევრ ქალაქში მუშაობს: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში და ა. შ. ამავე მიზნებს ემსახურება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც. აქ კონსულტაციებს უწევენ დედებს, რომელთაც უმიზეზოდ შეუწყდათ ორსულობა, დაებადათ მკვდარი ან მახინჯი ბავშვი.

რადგან ჩანასახის გენეტიკურ აპარატზე მავნე ფაქტორები გავლენას ახდენენ ჯერ კიდევ ძალიან ადრეულ სტადიებში, საჭიროა მომავალ თაობაზე ზრუნვა დაწყებულ იქნას ორსულობის პირველი დღეებიდანვე, და ორსულობამდეც კი. მშობლებმა თავი უნდა დაიცვან მავნე ფაქტორების გავლენისაგან.

თუ ექიმი-გენეტიკოსი დაადგენს მიზეზს, რამაც გამოიწვია წინა ორსულობის დარღვევა, და თუ ამ მიზეზის გამორიცხვა შესაძლებელია, მაშინ მშობლებს შეუძლიათ უშიშრად იფიქრონ მეორე შვილის გაჩენაზე. ხოლო თუ ჩანასახი ვერ განვითარდა არასასურველი მემკვიდრეობის ფაქტორების გამო, რასაც, აგრეთვე ადგენს და შეისწავლის ექიმი-გენეტიკოსი, მაშინ ქალს აფრთხილებენ მოსალოდნელი რისკის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში ურჩევენ გამოიკვლიონ ჩანასახის სქესი (დღეს ეს შესაძლებელია), რადგან მთელი რიგი დაავადებები გადაეცემა მხოლოდ მამრობითი სქესის ნაყოფს (ჰემოფილია, დუშენის ტიპის კუნთოვანი დისტროფია და ა. შ.), იმ შემთხვევაში, თუ გოგონა უნდა გაჩნდეს, დედას შეუძლია გულდამშვიდებული იყოს.

ზოგჯერ მშობლები მეტისმეტად შიშობენ, რატომღაც ჰგონიათ, რომ ჯანმრთელი შვილი არ ეყოლებათ. ასეთ შემთხვევაში კვლავ ექიმი-გენეტიკოსი გვევლინება დამხმარედ. იგი მშობლებს უხსნის და არწმუნებს შიშის უსაფუძვლობაში.

მედიკო-გენეტიკოსები მარტო მოსალოდნელ რისკს როდი საზღვრავენ, ისინი მოვალენი არიან მშობლებს ჩაუტარონ პროფილაქტიკური მკურნალობაც. ეს აუცილებელია, რადგან სტატისტიკამ ნათელჰყო, რომ ყოველი მეორმოცე ბავშვი მემკვიდრეობით მიღებული დაავადებით ან სერიოზული დეფექტით იბადება.

ყოველი მშობელი, რომელიც თუნდაც ოდნავ მაინც დაეჭვებულია ნაყოფის ბედზე, მოვალეა მიმართოს ექიმ-გენეტიკოსს.

**ჯ. ქრისტესაშვილი,**
**საქართველოს სსრ მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## რჩევები დიასახლისებს



# საკონსერვო ქილების პასპორტი

ალბათ შენიშნავდით, რომ საკონსერვო ქილების ძირზე ან ზედა სახურავზე ამოტვიფრულია ასოები და ციფრები. მაგალითად, აი ყაბაყის ხიზილალას ქილა ფოტოზე, რომელზეც ასეთი ინდექსია:

**К 1421**

**827 Ж 081**

რას ნიშნავს ეს ასოები და რიცხვები?

საკონსერვო ქილებზე შეიძლება შევხვდეთ სამი ასო (რუსული ტრანსკრიპციის): **К** — კვების მრეწველობის სამინისტრო, **М** — ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, **Р** — თევზის მრეწველობის სამინისტრო.

პირველ რიგში (ჩვენს მაგალითში — 1), მოთავსებული უკანასკნელი ციფრი 1 ნიშნავს კონსერვის დამზადების წელს — 1971 წელი. იმავე პირველ რიგში ასოსა და უკანასკნელ ციფრს შორის მოთავსებული რიცხვი (ჩვენს მაგალითში 142) ნიშნავს საწარმოს ინდექსს.

მეორე სტრიქონში მოთავსებული პირველი რიცხვი (8) ნიშნავს მუშათა ცვლის ნომერს (პირველი, მეორე, მესამე). ამავე სტრიქონში მოთავსებული შემდეგი ორი ციფრი (27) თვის რიცხვია, ხოლო **Ж** — თვე. თვეები აქ არ აღინიშნება მათ სახელწოდებათა დასაწყისის მიხედვით, ვინაიდან ასეთი მინიშნება არევას გამოიწვევდა. მაგალითად, აპრილი და აგვისტო აღინიშნება ერთი ასოთი — **А**, ივნისი და ივლისი — **И**. თვეები აღინიშნება იმ ასოებით, რომელიც ალფაბეტის თანმიმდევრობას მიჰყვებიან. ასო З (З) 3 რიცხვს წააგავს და ამიტომ გამოთიშულია ამ რიგიდან. ამრიგად, **А** ნიშნავს იანვარს, **Б** — თებერვალს, **В** — მარტს და ა. შ. ჩვენს ქილაზე ასო **Ж** ივლისს აღნიშნავს.

მეორე სტრიქონის უკანასკნელი სამი ციფრი 081 მიუთითებს კონსერვის ასორტიმენტის ნომერს.

მაშასადამე, თუ გვეცოდინება ინდექსის გაშიფრვის წესი, მაშინ თავისუფლად შევძლებთ უტიკეტოდაც გავიგოთ, როგორი კონსერვია ქილაში — ბოსტნეულის, ხილის, ხორცის თუ თევზის, და ამავე დროს გავიგებთ მათი დამზადების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეწვიეთ ამ მაღაზიას!



მაღაზიის დირექტორი ნ. იმნაიშვილი (მარჯვნივ) და გამყიდველი ა. ჩახნაშვილი



მაღაზიის პავილიონი

თბილისში ბევრი ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაა, ახალი პროდუქტებით მომარაგებული. განსაკუთრებით კმაყოფილია მომხმარებელი 82-ე მაღაზიის მუშაობით. აქ ყოველთვის იშოვით გადარჩეულ, დახარისხებულ, დაფასოებულ მრავალფეროვანი ასორტიმენტის ბოსტნეულს, ხილს, მწნილებს, ხილის წვენებს, კომპოტებს, პიურეს. იგი ერთერთი საუკეთესო ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაა დედაქალაქში. მომხმარებელი თვითონვე ირჩევს სასურველ პროდუქტს, თვითონვე წონის და შემდეგ მოლარე-კონტროლიორთან იხდის საფასურს. მაღაზიის დირექტორი ნადია იმნაიშვილი ორმოცი წელია ვაჭრობის სისტემაში მუშაობს და კეთილსინდისიერი და პატიოსანი მუშაობისათვის მრავალი ჯილდო: სიგელი, ფულადი პრემია და მომხმარებელთა მადლობა დაიმსახურა.

მაღაზია დოლიძის ქუჩაზე მდებარეობს. აქ შექმნილმა ატმოსფერომ, პროდუქტების სიუხვემ და მრავალფეროვნებამ განაპირობა ის, რომ მაღაზიაში მუდამ ბევრი მყიდველია და ყოველთვიური გეგმა დიდი გადაჭარბებით — 130-140 პროცენტით სრულდება. მას ძირითადად გორის, მცხეთის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების მეურნეობები ამარაგებენ.

მოგეხსენებათ, უგამყიდველოდ მუშაობა ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაღაზიის ერთსულოვანმა კოლექტივმა ამ სირთულეებს შესანიშნავად გაართვა თავი.

ზოგიერთი ხილის და ბოსტნეულის დაფასოება შეუძლებელია, ვინაიდან გადაწონისას ჭკნება და სიახლეს კარგავს. ამიტომ დირექტორის ინიციატივით მაღაზიაში მოეწყო სპეციალური სამრეცხაო, სადაც მწვანილს აცოცხლებენ. სახეშეცვლილ პროდუქტს კი დაუყოვნებლივ აბარებენ თბილხილბოსტანვაჭრობის გადამამუშავებელ კომბინატს, სადაც მათგან ამზადებენ წვენებს, ჯემებს, კომპოტებსა და მწნილებს.

მაღაზიის დირექტორმა გასული წლის ზამთარში თავის კოლექტივთან ერთად კარგი საქმე ითავა: კეჭერა მხალი, რომელსაც არ ჰყავდა მყიდველი და ფუჭდებოდა, დაამწნილეს ისე, როგორც გურული დიასახლისები ამწნილებენ ოჯახურ პირობებში. მთელ ქალაქში გაითქვა სახელი აქაურმა გურულმა მწნილმა, საიდან არ მოდიოდნენ მის შესაძენად. ეს კარგი ინიციატივა თბილისის XXXV საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მისაბაძად აღინიშნა.

სახელმწიფო ქონება დაცული რომ იყოს ხელყოფისაგან, დირექტორი ნადია იმნაიშვილი მოლარე-კონტროლიორებს სამუშაო სექციებს ყოველ კვირა უნაცვლებს.

მალე მაღაზიას ხორცის სექცია შეემატება, სისტემატურად მომარაგდება ფრინველისა და საქონლის ხორცით.

მაშინ აქ ყველა საკვები პროდუქტი იქნება მომხმარებლისათვის და დიასახლისიც ალბათ ბაზარში აღარ გაუხვევს.

მიბრძანდით დოლიძის ქუჩაზე და შეიძინეთ საუკეთესო პროდუქტები!

ნ. ბუკია

# იგი ხალხისათვის იბრძოდა

ანა სულაქველიძე სკოლის მერხიდან გატაცებული იყო რევოლუციური იდეებით და 1903 წელს ქუთაისის მოწაფეთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი გახდა. ამავე წელს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში შევიდა. მისი რევოლუციური ნათლობა 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომის დროს მოხდა, როცა, როგორც ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლის მოწინავე მოწაფე, ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მომწყობ მოწაფეთა კომისიაში აირჩიეს. მასთან ერთად ამ კომისიის წევრი იყო ფაცია გალდავა. სასწავლებლის ადმინისტრაციამ ეს მეამბოხე ახალგაზრდები სასწავლებლიდან გარიცხა და სწავლის გაგრძელების უფლება წაართვა. 1904 წლის აპრილში ანა პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს და წრეებში პროპაგანდისტული მუშაობა დაავალეს. იმავე წელს სტალინის ბათუმიდან ქუთაისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, საჭირო შეიქნა სასტიკი კონსპირაციის დაცვა. ანა გამოუყვეს მეკავშირედ. მას სტალინთან მიჰქონდა ბოლშევიკური ორგანიზაციის ცნობები, ხოლო სტალინის მიერ დაწერილ ფურცლებს ორგანიზაციას აბარებდა. ანა სულაქველიძე იმდენად იყო გატაცებული რევოლუციური მუშაობით, რომ მოითხოვა სტამბაში გაეგზავნათ სამუშაოდ. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და ქუთაისის არალეგალურ სტამბაში დაიწყო მუშაობა ასოთამწყობად. მასვე დაევალა სტამბიდან არალეგალური ფურცლების პარტორგანიზაციებში დარიგება. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ანა სხვადასხვა დავალებებით იგზავნებოდა ჭიათურაში, ბათუმში და თბილისში. ამ პერიოდში ანა სულაქველიძე იარაღით ხელშიც მონაწილეობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის მებრძოლ ჯგუფებში. რეაქციის წლებში ანა იძულებული იყო ქუთაისიდან თბილისში გადმოსულიყო საცხოვრებლად, სადაც სტეპკო ინწკირველისა და კამოს მეშვეობით მუშაობა დაიწყო თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის პროპაგანდისტად. 1908 წელს იგი ფაცია გალდავასთან ერთად ბაქოში გაემგზავრა და იარაღი ჩაუტანა პარტორგანიზაციას. პოლიციის თვალის ასახვევად ისინი ჩადრებში გახვეულნი ავიდნენ მატარებელში. 1909 წლიდან 1919 წლამდე ანა ბათუმში მუშაობდა მასწავლებლად და მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციის დავალებით იგი ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, ეხმარებოდა არალეგალურად მომუშავე ამხანაგებს ბინის აღმოჩენასა და მატერიალური სახსრების შოვნაში.

1933 წელს ანა სულაქველიძე, როგორც წითელ პარტიზანთა ჯგუფის ყოფილი წევრი, წითელ გვარდიელთა და პარტიზანთა რესპუბლიკურმა კომისიამ ამ ორგანიზაციის წევრად მიიღო. მას ასეთი დახასიათება მისცეს — გამბედავი, დაუღალავი და იშვიათი რევოლუციონერი.

ანა დოლიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი.

## უმისამართო ბარათები

# ვის უნდა ვუმადლოდე...

ჩვენი პატარა ჯერ მხოლოდ ხუთი თვისაა, მაგრამ უკვე ყველაფერს გვაგებინებს: იცინის, ღუღუნებს, ყველაფერს ეპოტინება — სათამაშოებს, ყვავილებს. მე და მამამისს რომ დაგვინახავს, განსაკუთრებით კი თავის დაიკოს, ისეთ ამბავს ატეხავს, ისე გაიხარებს, რომ...

ერთი სიტყვით, ჩვენზე ბედნიერი ამ ცის ქვეშ არავინ გვეგულება. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ეს ბიჭი არ გვყოლოდა? — ამის წარმოდგენაც კი გვზარავს.

უფროსი ათი წლის გოგონა გვყავს, მაგრამ ჯერ მისმა გაჩენამ გამამწარა (ტოქსიკური ორსულობა და მძიმე მშობიარობა მქონდა) და გაზრდაზე ხომ ენით აუწერელი გაჭირვება გამოვიარეთ. სულ ავადმყოფობდა და ზედ დავკანკალებდით, მაგრამ ეტყობა, რამდენადაც დავკანკალებდით, მეტად ავადმყოფობდა. რა გვექნა, მეტი არავინ გაგვაჩნდა... ერთი სიტყვით, ის ერთი ბავშვი, როგორც იქნა, წამოვზარდეთ და მეორის გაჩენაზე ვიღა ფიქრობდა: ამიტომ მოვიშორე მეორე, მესამე... თავს იმითაც ვიმართლებდი, რომ არც ჯანი მქონდა (გულს ვუჩიოდი), არც საბინაო პირობები.

მე და ჩემი მეუღლე ერთ სამეცნიერო დაწესებულებაში ვმუშაობთ. ის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია და მეც დისერტაციის დამთავრებამდე ბევრი არ მაკლდა, როდესაც ისევ ქალთა კონსულტაციაში მისასვლელად გამიხდა საქმე.

მაგრამ ამჯერად ჩვენი მეორე ბავშვის გაჩენის ბედს სხვა გინეკოლოგი სწყვეტდა. ეს ექიმი ისე დაჟინებით მარიგებდა, მაფრთხილებდა, მაშინებდა, უფრო სწორად რომ ვთქვა, ისე შემიყოლა, გამიიოლა, შემაგონა, დამარწმუნა. რომ, ასე გასინჯეთ, ჩემი ერთადერთი შვილის (ჩემი სულისდგმის!), ქმრის (იდეალური მეუღლის), ერის (რომელსაც, ჩემი ფიქრით, თავდაუზოგავად ვემსახურები) და ჩემი საკუთარი თავის მტრადაც გამომიყვანა.

და როდესაც ყველა ეს გაფრთხილება, რჩევა, შეგონება დაუპირისპირდა ჩემს არგუმენტებს — შევყოყმანდი. ერთი სიტყვით, ექიმმა ჩამაფიქრა, ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში დამაეჭვა, გამტეხა და განზრახვაზე ხელი ამაღებინა.

და მას, მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდე, რომ დღეს ბედნიერი ოჯახი გვაქვს, რომ ყველას შინ მიგვიხარია, რომ ჩემი გოგონაც კი აღარ ავადმყოფობს (ალბათ, იმიტომ, რომ მის საჩიჩინოდ და უკან სადევად არავის სცალია), ასე გასინჯეთ, ჭამაზეც კი აღარ სჭირდება ხვეწნა-მუდარა და არა თუ საკუთარ თავს, დროს როგორც იშოვნის, პატარასაც უვლის.

ახლა ვერც კი წარმოგვიდგენია, რას ემგვანებოდა ჩვენი ცხოვრება, დათო რომ არ გვყავდეს... და რომ იცოდეთ, როგორ ვლოცავთ იმ ექიმს, ვინც ჩვენს ოჯახს ეს სიხარული შეუნარჩუნა, რა მადლობელი ვართ მისი...

და განა ერთსა და ორ ოჯახს შეუნარჩუნა ბედნიერება? განა ერთი და ორი სიცოცხლე აჩუქა ქვეყანას?

მაგრამ, როდესაც მას გავუმხილე, საქვეყნოდ უნდა გამოგიცხადოთ მადლობა-თქო, კატეგორიულად მოითხოვა მისი სახელი არ მეხსენებინა; „მე ის გავაკეთე, რასაც ექიმის ეთიკა, მოქალაქის სინდისი და ადამიანების სიყვარული მავალებს და გთხოვთ, გმირად ნუ გამომიყვანთო“.

ვასრულებ მის თხოვნას, მაგრამ იმედი მაქვს ამ წერილს წაიკითხავს და ვფიქრობ, ერთგვარ კმაყოფილებას მაინც იგრძნობს, რადგან არ არსებობს იმაზე დიდი სიხარული და კმაყოფილება, რაც შეიძლება მოგანიჭოს შენმა საქმემ, თუ მას ფორმალურად კი არა, ჭკვიანურად, გულმხურვალედ, კეთილად ემსახურები.

მანანა თ.
თბილისი.

## კაპიტალის სამყაროში

# ქალის ბედი

ტულუზის ერთ ბინძურ სასტუმროში დანის დარტყმით მოკლეს ქალი. მოპასანის სტილის ამ ამბავში იმალება დრამა, დრამა დედისა, რომელიც მეძავად იქცა იმისათვის, რომ შვილები ერჩინა. გასვენების დღეს მისმა თვალცრემლიანმა დობილებმა კალათები დაუცარიელეს ტულუზელ მეყვავილეებს. ვარდის, მიხაკის, იის, გლადიოლუსების თაიგულები... ქრისტინას ცხოვრება ჭუჭყი და მტილი იყო, დაე, სიკვდილი მაინც ექცეს ყვავილებადო. ცა მოქუფრულიყო, ცივი ქარი აქანებდა ხეთა ტოტებს. პოლიციელებმა წყალგაუმტარი მოსასხამები ჩაიცვეს. სახეზე იყო ძალადობით მკვლელობა.

მისი მეგობარი ყვება: „თავისი შვილებისათვის ქრისტინა დედაც იყო და მამაც. მათი გულისათვის ის ცეცხლში ჩადგებოდა, არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა, იმ შემზარავი შიშის წინაშეც კი, რომელსაც იწვევდა მასში ის უცნაური კლიენტი“...

ეს შიშისმგვრელი კლიენტი ერთი ახალგაზრდა კაცი იყო, მელოტი და კოჭლი. ქრისტინა ბონემ იგი ექვსი კვირის წინ გაიცნო. მას შემდეგ კოჭლი ყოველ პარასკევს, ერთსა და იმავე დროს გამოეცხადებოდა და მიჰყავდა ნაქირავებ ოთახში, ბაიარის კვარტალში. მიჰყავდა მხოლოდ ქრისტინა, სხვა არავინ. მიჰყავდა, მაგრამ არასოდეს ეხებოდა, ფულს კი აძლევდა და შიშის ზარს სცემდა.

შიშისაგან რომ თავი ეხსნა და შემოსავალიც არ დაეკარგა (ქვემოთ ვნახავთ, რატომაც), ქრისტინამ ასეთი გამოსავალი ნახა (ეგონა, რომ ნახა): მეზობელი ოთახი მის მეგობრებს ეკავათ. ქრისტინამ სთხოვა მათ, პარასკევობით განუწყვეტლივ დაუკარით ერთი და იგივე ფირფიტა საღამოს ათის ნახევრიდან იმ დრომდე, ვიდრე კლიენტის წასვლას არ შეგატყობინებთო.

მაგრამ იმ ღამეს მისი მეგობრები შინ არ იყვნენ, არც დერეფანში ჩანდა ვინმე. ქრისტინას სართულის ბინადრები სახლის პატრონმა პანიოლის სატელევიზიო ფილმის პრემიერაზე მიიპატიჟა და რადგან თვითონ ცოტა ყურს აკლდა, ტელევიზორს რაც შეიძლება ხმამაღლა აღრიალებდა. ეკრანზე კვდებოდა პანისი და რემიუ-ცეზარი ვაჟკაცურად იკავებდა თვალზე მომდგარ ცრემლებს, ამავე დროს კი, ამ კინემატოგრაფიული სიკვდილიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ქრისტინა თავის ბედისწერას შეეფეთა და ახლომახლო ძეხორციელი არ იყო მისი დამტირებელი.

ათი საათისთვის გაბმული კივილი გაისმა. სახლის პატრონი და ერთი მობინადრე კიბეს ეცნენ — პირველი სართულის ერთ-ერთი ოთახის ზღურბლზე შიშველი, სისხლში ამოსვრილი ქრისტინა იდგა და ხელებით მუცელს იჭერდა. „უცნაურმა კლიენტმა“ მას სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიმალა.

— ახლავე პოლიციას გამოვუძახებ, — იყვირა სახლის პატრონმა.

— არა, — წაიჩურჩულა მომაკვდავმა, — არაა საჭირო, არაა საჭირო.

მან კიდევ შესძლო ორი სიტყვის წარმოთქმა:

— მე ვკვდები.

იმ პარასკევს კოჭლმა კაცმა მას უკანასკნელი დარტყმა მიაყენა. მაგრამ ქრისტინას სიკვდილი თითქმის მისი ქვეყნიერებაზე გაჩენის დღიდან, ოცდაცხრამეტი წლის წინათ დაიწყო. ტულუზელი მუშის შვილი სიღატაკეში იზრდებოდა, მაგრამ ამ სიღატაკის აღიარება არ სურდა. გადაწყვიტა — რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უდიდესი შრომისმოყვარეობითა და სიჯიუტით მიეღწია სასანუკვარი მიზნისათვის — „ხალხში გამოსულიყო“, წოდებრივი ზღუდეები გადაელახა, „ნორმალური“ ცხოვრება დაეწყო — ქმარშვილიანი ქალის ცხოვრება.

შვილები კი გაუჩნდა, მაგრამ ქმარი არასოდეს არ ჰყოლია.

თვრამეტი წლისას ვაჟი — სტეფანე ეყოლა. მაშინ ქრისტინა ბარში მუშაობდა ოფიციანტად და, არაუშავს, თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან შეყვარებული გვერდით მაინც ჰყავდა. მერე მეორე ბავშვიც გაუჩნდა. „ოჰ, ეს კი მეტისმეტია!“ — და შეყვარებულმა მოუსვა.

სასოწარკვეთილება... ბარში მომუშავე ქალებმა ურჩიეს, მათთვის მიებაძა — თავი გაეყიდა. ის სასტიკ უარზე იყო, მაგრამ მარტოკას როგორ ეცხოვრა? განა საქმე ვნებაშია? ქრისტინას სითბო, სინაზე უნდოდა. ჰოდა, საყვარლები გაიჩინა.

მერე მესამე ბავშვიც ეყოლა. მერე კიდევ ერთი. ხარჯი აუტანლად იზრდებოდა, მეგობრები დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ: „ჩვენ მოგვბაძე! ჩვენ მოგვბაძე!“.

ერთი ნიუ-იორკელი მეძავი ურჩევს ახალბედებს: „ქალიშვილი, რომელიც სხეულით ვაჭრობს, პატიოსანია, შენ არც საზოგადოებრივი მდგომარეობა გაქვს, არც არავითარი სახსარი — საკუთარი „კაპიტალის“ გამოყენების გარდა. ჰოდა, ნუ იქნები პასიური!“

1963 წლის აპრილში 29 წლის ქრისტინა ბონემ ზღვარს გადააბიჯა. მან პოლიციაში გაიარა რეგისტრაცია, როგორც მეძავმა. მერე კი ბარე ათჯერ, ოცჯერ გამოცხადდა ზნეობათა პოლიციაში, რომ გახარებულს შეეტყობინებია — ქუჩას ვტოვებო და ათჯერ, ოცჯერ დაბრუნდა თავჩაქინდრული, რათა თავი დამარცხებულად ეღიარებინა. ქრისტინას სააღრიცხვო ბარათი პოლიციაში კიდევ უფრო სულის შემძვრელი იყო, ვიდრე მისი გულისგამგმირავი ყვირილი პარასკევ ღამეს. ამ ბარათში აღნუსხული იყო მისი სასოწარკვეთილი ვირაჟები პატიოსნებასა და უპატიოსნებას შორის...

ბავშვების ავადმყოფობა, უფროსის სწავლა, უმცროსის დაქორწინება, შვილიშვილის დაბადება... ყოველი უბედურების თუ ოჯახური ზეიმის დროს ქრისტინა უარს აცხადებდა „თავისუფლებაზე“. ბინაში, შვიდი ტრუბადურის ქუჩაზე რომ ჰქონდა დაქირავებული, მის კმაყოფაზე მყოფი რვა ადამიანი ცხოვრობდა: ოთხი ვაჟი, დედ-მამა, რძალი და შვილიშვილი. აი, ვინ იყო მისი ნამდვილი, ერთადერთი სამყარო! ვის გამო ვერ იხევდა ვერაფერზე უკან ეს პატარა, მოკლედ თმაშეკრეჭილი ქერა ქალი, რომელსაც ჯერაც შერჩენოდა სილამაზე, შერჩენოდა, მაგრამ როდემდე?

ის ყოველ ზაფხულს ოჯახს დასასვენებლად ესპანეთში ისტუმრებდა, სადაც მადამ ბონედ იქცეოდა ხოლმე, უზადო ზნეობის ფრანგ ქალად. ის სულ ოჯახის მომავალზე ფიქრობდა, წუხდა, ანგარიშობდა, ხშირად სასოწარკვეთილება იპყრობდა. ორმა უმცროსმა შვილმა არ იცოდა, რა უცნაური სამსახური ჰქონდა დედას, ქალაქში გვიან ღამემდე რომ რჩებოდა, და ქრისტინას გული უსკდებოდა იმის შიშით, ვაი თუ სკოლაში ან სხვაგან ბავშვებს წამოაძახონ და მიახვედრონ, რას ჩავდივარო. ან ვაითუ ჩემი ბიჭები შემთხვევით შემრმეფეთონ ბაიარის კვარტალის ქუჩებშიო.

...სამი თაობის ქალები დასტიროდნენ ქრისტინას კუბოს. ამ სიცოცხლეს ხომ მათი სიცოცხლის ნაწილიც მიჰყვებოდა, ყოველ მათგანში ხომ ქრისტინას რაღაც იყო. ისინი გრძნობდნენ, რომ კიდევ ჰქონდათ გული, რადგან ის სტკიოდათ. ქრისტინა ისეთი კარგი დედა იყო, ისეთი კარგი ადამიანი!

თავის უმცროს ბიჭს ალენს ის შეპირებოდა — 75 ფრანკს მოგცემ ფეხსაცმლის საყიდლადო. ხუთშაბათს დაპირდა, პარასკევს კი ქრისტინას შეხვედრა ჰქონდა დათქმული „უცნაურ კლიენტთან“.

ასე დაიღუპა იმ ღამეს ხორცშესხმული სათნოება, ის, ვისაც ბიწიერებას უწოდებდნენ.

**ფრანგული ჟურნალიდან „პარი მატჩ“.**

# სამი დედა

(იუმორესკა)

სუფრაზე მშობლების სადღეგრძელო შეისვა.

ვაჟებმა განსაკუთრებით ადღეგრძელეს დედები. მეც ვადღეგრძელე, ოღონდ ღვინო არ შემისვამს, სავსე ჭიქა დავდგი მაგიდაზე. ჩემი ამხანაგები აქებდნენ და ადიდებდნენ თავიანთ დედებს. არ მიკვირდა, ვიცი ვაჟებს განსაკუთრებით უყვართ დედები.

— გინდა, ელაპარაკე ჩემს დედას! — მითხრა ერთმა. ყურმილი აიღო, ნომერი აკრიფა და ხელი დამიქნია.

— რაზე ველაპარაკო?

— რაზეც გინდა! თუ გინდა უთხარი, რომ ჩემი საცოლე ხარ!

— ალო! — ჩამესმა და რატომღაც წარმოვიდგინე ჯერ ისევ ახალგაზრდა, ცხოვრებით განებივრებული ლამაზი ქალი.

— ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, თქვენ გიას დედა ბრძანდებით?

— დიახ, გენაცვალე! ვინ ლაპარაკობს? — არ დამაცალა წინადადების დასრულება. ვიგრძენი, იქვე მდგარ სავარძელში ჩაეშვა.

— მე... გიას მეგობარი ვარ... — და ჩემი ამხანაგის კარნახით განვაგრძე ლაპარაკი: — იცით, მე თქვენი ვაჟი მიყვარს, მიყვარს კი არა, აი, როგორ გითხრათ, მალე...

— რა მალე? — იფეთქა მან და ისიც ვიგრძენი, როგორ წამოხტა რბილი სავარძლიდან.

— მალე შვილიც...

— მერე, მე რა შუაში ვარ? მე რატომ მირეკავთ?

— არ ვიცი... მაგრამ, რა მეშველება?

— მე სტომატოლოგი ვარ! გესმით? და არა...

— მაგრამ, თქვენ ხომ დედაც ხართ?

— ჩემი ბიჭი ჯერ არ არის საცოლშვილო, არც მე შემეფერება ბებია დამიძახონ. და საერთოდ...

— რაო, რა გითხრა? — დამკითხა გიამ.

— დაკიდა ყურმილი!

— როგორი დედა მყოლია?

— არაჩვეულებრივი!..

— ახლა დედაჩემს ელაპარაკე, — თქვა მეორემ და თავისი ტელეფონის ნომერი აკრიფა.

ყურმილი ისევ ჩემს ხელში აღმოჩნდა.

— გისმენთ! — მომესმა ომახიანად.

— ვისი ბინაა?

— სად რეკავ, შემოგევლე?

— თქვენ დათოს დედა ბრძანდებით?

— გახლავარ, შემოგევლე! რომელი ხარ შენ?

— იცით... როგორ გითხრათ, მე დათოს... შეყვარებული ვარ!..

— ტყუილია მაგი, რას ქვია, ჩემს უკითხავად...

— კი, ქალბატონო და მალე შვილიც გაგვიჩნდება! — მოკლედ მოვჭერი.

— დიდუ, რა გაიგონა ჩემმა ყურებმა!

— მე თქვენი ნახვა მინდა, უნდა გიამბოთ ყველაფერი!

— რაღა უნდა მიამბო კიდევ, კარგი, რომ ჩემი ქმარი არ არის სახლში. ჩემთან რა გესაქმება, აქ არ გნახო...

— აბა, რა ვქნა მე?

— ახლა მეკითხები მაგას?

... — როგორი დედა მყოლია?

— გადასარევი!..

— ახლა დედაჩემიც გაიცანი, — მითხრა მესამემ და...

— ქალბატონო, უკაცრავად, ნამდვილად ეს ნომერია?

— კი შვილო!

— თქვენ, ალბათ, კობას დედა ბრძანდებით!

— დედა ვარ, შვილო!

— იცით, მე ახლა ვნერვიულობ და მაპატიეთ, მაინც უნდა გითხრათ ყველაფერი. მომისმინეთ?

— ხომ მშვიდობაა, შვილო?

— კი, მშვიდობაა, მაგრამ თქვენ ნამდვილად დედა ხართ?

— დედა ვარ, დედა, რა მოხდა, შვილო?

— იცით, მე და კობას გვიყვარდა ერთმანეთი, ძალიან გვიყვარდა და ახლა შვილსაც ველოდები, — ვთქვი და, თვითონაც არ ვიცი, რატომ წამსკდა ცრემლები.

— მერე, რა გატირებს?

— მაპატიეთ, თავი ვერ შევიკავე!..

— საიდან მელაპარაკები ახლა, შვილო?

— ახლა? მე აქაური არა ვარ, ჩამოვედი და სადგურიდან...

— ქუჩაში რა გინდა, დედა, ნუ სტირი, თავი დაიმშვიდე... ახლა ჩაიწერე ჩვენი მისამართი, სადგურიდან № 11 ავტობუსს გამოყევი, პირველივე გაჩერებაზე ჩამოდი და...

— სახლში? მერე თქვენი მეუღლე რომ მნახავს?

— ჩემი მეუღლე, შენ კი არა, მე აღარ მინახავს თვალით ომის შემდეგ... ნუ გერიდება, მე ავტობუსის გაჩერებასთან დაგელოდები, თუ გინდა...

... — როგორი დედა მყოლია?

— ჩვეულებრივი...

...მეორე დღეს სამივემ მომძებნა.

პირველს კოპი აჯდა შუბლზე, სახლში შესვლისთანავე დედამისს ცხვირაპრეხილი ქოში უსვრია, მეორე სულ არ შეუშვიათ სახლში და ღამე ამხანაგთან გაუთევია, საერთო საცხოვრებელში, მესამე კი სიცილით კვდებოდა:

— დედაჩემი ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ ვიხუმრეთ. ახლაც ავტობუსს ელოდება.

წავიდეთ. დედას ხომ არ ვალოდინებთ!

**ნესტან კვეიძე**

გარეკანზე — გავშვთა ხელოვნების მუზეუმის ექსპონატთა რეპროდუქციები.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина. 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 17/IV-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/V-74 წ. ქაღალდის ზომა 60×90[1]/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 119.800. შეკვ. 1516 უე 01778 ფასი 30 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახლადარჩეული წევრ-კორესპონდენტები



ელენე მეტრეველი



თინათინ ჟღენტი

б 92/109
ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178



